

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი



სამაგისტრო პროგრამა: მასწავლებელთა განათლება

ანი კვერნაძე

ციფრული საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება
გეოგრაფიის სწავლებისას
(საბაზო საფეხურზე)

ნაშრომი შესრულებულია მასწავლებლის განათლების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ლია კვერენჩილაძე

გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი

თსუ მოწვეული პროფესორი

თბილისი

2019

ანოტაცია

სამეცნიერო ტექნიკურმა პროგრესმა თანამედროვე შრომის ბაზარი შეცვალა და შესაბამისად შეცვალა მოთხოვნები განათლების სისტემის მიმართ. დღეს, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებამ შეაღწია საქმიანობის ყველა სფეროში და ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ უამრავი ქვეყანა, მათ შორის საქართველოც, აქტიურად ახორციელებს ისტ-ის ინტეგრირებას საგანმანათლებლო სისტემაში.

კვლევის აქტუალობა - XXI საუკუნეში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გარეშე წარმოუდგენელია *ჩინსვლა ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ სფეროში*. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, თავის მხრივ, გულისხმობს ელექტრონულ ინსტრუმენტებს, რომელთა გამოყენება სასწავლო პროცესში მოსწავლეს *გამოუმუშავებს XXI საუკუნის უნარ-ჩვევებს*, როგორებიცაა საინფორმაციო, მედია და ტექნოლოგიური უნარ-ჩვევები, ინფორმაციის მოპოვება და ანალიზი, შემოქმედობითობა და კრეატიულობა, კრიტიკული აზროვნება და პრობლემის გადაჭრა, კომუნიკაციური უნარ-ჩვევები და ა.შ.

საკვლევი თემის სიახლეს წარმოადგენს ის, რომ საჭიროების გამოსავლენი კვლევის შემდეგ, შეიქმნა საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსი როგორც მასწავლებლებისთვის, ისე მოსწავლეებისთვის. რესურსი მოიცავს 40-მდე გეოგრაფიულ თამაშს მე-7, მე-8 და მე-9 კლასებისთვის. ამასთან, შეიქმნა ინტერნეტ რესურსების გზამკვლევი, სადაც თავმოყრილია ოთხი ელექტრონული სასწავლო რესურსის გამოყენების ინსტრუქცია.

კვლევის საგანს წარმოადგენს საშუალო განათლების საბაზო საფეხურზე, გეოგრაფიის სწავლა-სწავლებისას ისტ-ის გამოყენების პრაქტიკა, ხოლო **კვლევის ობიექტია** საშუალო განათლების საბაზო საფეხურზე, გეოგრაფიის სწავლა-სწავლებისას ელექტრონული ინსტრუმენტების გამოყენების პროცესი, მოსწავლეებსა და მასწავლებლებში.

სამაგისტრო **ნაშრომის მიზანია**, საბაზო საფეხურზე, გეოგრაფიის სწავლებისას ისტ-ის გამოყენების პრაქტიკის კვლევა მოსწავლეებსა და მასწავლებლებში. აქედან გამომდინარე, **კვლევის ამოცანებია**:

- მეორადი ინფორმაციის მოძიება და დამუშავება;
- კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება;
- ემპირიული კვლევის ჩატარება;
- კვლევის შედეგების ანალიზი და შესაბამისი დასკვნების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის ჰიპოთეზებია:

- საქართველოს სკოლებში, საბაზო და საშუალო საფეხურზე, გეოგრაფიის სწავლებისას, არასათანადო სიხშირით გამოიყენება ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები;
- ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებით სწავლება, ხელს უწყობს მოსწავლეების აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებასა და ამ გზით მიღებული ცოდნის ხანგრძლივ დამახსოვრებას.

Ani Kvernadze

Using Digital Educational Resources

While Teaching Geography

(Secondary School)

Annotation

Scientific technical progress has changed the modern labor market and has therefore changed the requirements for the education system. Today, the use of information-communication technologies has penetrated into all spheres of activity and has become an integral part of our everyday life. Many countries, including Georgia, are actively involved in integrating it into the educational system.

Topicality of the research - In the XXI century without any information-communication technologies it is impossible to move forward in any field. Information-communication technologies involves electronic tools, which are used to develop XXI century skills during the learning process, such is creativity, critical thinking, problem solving and etc.

The novelty of the thesis is that educational electronic resources were created for both teachers and students. The resource includes 40 geographical games for 7th, 8th and 9th grades. In addition, the Internet Resource Guide has been created, provided with instruction of using some electronic resources.

The subject of the research is using digital educational resources within the process of teaching Geography in secondary school. As for **the research object**, it is the process of teaching Geography in secondary school, using electronic instruments.

The goal of the research is to analyse the practice of using digital educational resources within the process of teaching Geography in secondary school among students and teachers.

Therefore, the **objectives** are:

- To search secondary data and analyse it;
- To design the research methodology and the research instrument;

- To conduct empirical research;
- To analyse the results of the research, draw conclusions and make recommendations.

The research hypothesis - Electronic educational resources are used with inappropriate frequency in schools of Georgia within the process of teaching Geography, in secondary level. Also, using electronic educational resources in classroom, helps students to improve their academic performance and gain long-lasting knowledge.

სარჩევი

შესავალი	7
თავი 1. ისტორიული ექსკურსი	12
1.1. სწავლების მეთოდები	12
1.2. თვალსაჩინოებით მუშაობის მეთოდები	14
1.3. კინო, როგორც ახალი სასწავლო რესურსი სკოლაში	15
1.4. სწავლების თანამედროვე მიდგომები	16
თავი 2. რას გულისხმობს გეოგრაფიის სწავლება ისტ-ის გამოყენებით	19
2.1. უპირატესობები და ნაკლოვანებები.....	19
2.2. გამჭოლი კომპეტენციები და ისტ-ის ინტეგრირება საგაკვეთილო პროცესში	21
2.3. გეოგრაფიული განათლება, ისტ-ი და მდგრადი განვითარება.....	22
თავი 3. სხვა ქვეყნების გამოცდილება.....	24
3.1. ალბანეთის მაგალითი	24
3.2. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მაგალითი	24
კვლევითი ნაწილი.....	26
კვლევის დასკვნები და მიგნებები	42
კვლევის რეკომენდაციები	45
გამოყენებული ლიტერატურა	47
დანართი N 1	
დანართი N 2	
დანართი N 3	
დანართი N 4	
დანართი N 5	
დანართი N 6	

შესავალი

გეოგრაფიის მეცნიერება საზოგადოებას აძლევს დიდი მოცულობის ინფორმაციას მათი საცხოვრებელი ადგილის და ზოგადად მსოფლიოს შესახებ. გეოგრაფიის სწავლისა და სწავლების მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს რუკა, თუმცა რიგ შემთხვევებში ის არ არის საკმარისი. ახალი ცოდნის შექმნის და პერიოდულად მათი გადახედვის კვალდაკვალ, გეოგრაფიის მეცნიერებამ და მისმა სწავლების მეთოდებმა უამრავი ხარისხობრივი თუ თვისებრივი ცვლილება განიცადეს. სწავლების პროცესში ნათელი ხდება, რომ მრავალი თემა, რუკის გარდა, საჭიროებს სხვა დამატებით სასწავლო რესურსების გამოყენებას, მაგალითად: მსოფლიოს პოლიტიკური და ფიზიკური რუკა, თანამედროვე გლობალური პრობლემები - მდგრადი განვითარების მიზნები, მოსახლეობის რასობრივი სტრუქტურა, სტიქიური მოვლენები, კლიმატი, ბუნებრივი ზონები და სხვა. ამგვარი საჭიროების არსებობა, თავად მოსწავლეებისგან იგრძნობა, რადგან ისინი მეტი ინტერესით ისმენენ ისეთი ტიპის ინფორმაციას, რომელიც წიგნში დაწერილს სცდება და უფრო ახლოს არის ყოველდღიურ ცხოვრებასთან.

სამეცნიერო ტექნიკურმა პროგრესმა თანამედროვე შრომის ბაზარი შეცვალა და შესაბამისად შეცვალა მოთხოვნები განათლების სისტემის მიმართ. დღეს, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებამ შეაღწია საქმიანობის ყველა სფეროში და ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ უამრავი ქვეყანა, საგანმანათლებლო სისტემაში აქტიურად ახორციელებს ისტ-ის ინტეგრირებას.

თემის აქტუალობა: XXI საუკუნეში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გარეშე წარმოუდგენელია *წინსვლა ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ სფეროში*. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, თავის მხრივ, გულისხმობს ელექტრონულ ინსტრუმენტებს, რომელთა გამოყენება სასწავლო პროცესში მოსწავლეს *გამოუმუშავებს XXI საუკუნის უნარ-ჩვევებს*, როგორებიცაა საინფორმაციო, მედია და ტექნოლოგიური უნარ-ჩვევები, ინფორმაციის მოპოვება და ანალიზი, შემოქმედობითობა და კრეატიულობა, კრიტიკული აზროვნება და პრობლემის გადაჭრა, კომუნიკაციური უნარ-ჩვევები და ა.შ. (თ. ნეფარიძე; 2014)

ისტ-ის გამოყენებით სწავლების მნიშვნელოვანი უპირატესობა, მოსწავლეებში

შინაგანი მოტივაციის გაზრდაა. ისინი უფრო დიდი ენთუზიაზმით ერთვებიან საგაკვეთილო პროცესში და გულდასმით ეკიდებიან მასწავლებლის მიერ მიცემულ დავალებებს თუ მითითებებს. გარდა ამისა, დაკვირვებამ აჩვენა, რომ მოსწავლეები სახლშიც, *დამოუკიდებლად იყენებენ* ელექტრონულ ინსტრუმენტებს, რადგან მიაჩნიათ, რომ ამ გზით სწავლა საინტერესო, სახალისო და დროის დაზოგვის თვალსაზრისითაც უფრო ეფექტურია.

პრობლემის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მიუხედავად გეოგრაფიის მეცნიერების განვითარების გზაზე, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიერ შეტანილი უდიდესი წვლილისა, ისტ-ის გამოყენების სიხშირე სკოლებში, დღეს მაინც დაბალია. გეოგრაფიის მასწავლებელთა დიდი ნაწილი არ იცნობს პოპულარულ თანამედროვე ელექტრონულ საგანმანათლებლო რესურსებს და ამასთან ერთად, მკაფიო განსხვავებაა კერძო და საჯარო სკოლებში, გეოგრაფიის სწავლებისას, ისტ-ის გამოყენების მხრივ. ამ და სხვა ფაქტორებს ვრცლად, კვლევის ნაწილში განვიხილავთ.

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების მნიშვნელოვნებას ადასტურებს არაერთი სახელმწიფო თუ საერთაშორისო დოკუმენტი. მაგალითად, “ეროვნული სასწავლო გეგმის” მიხედვით შემუშავებული *გამჭოლი კომპეტენციები*. ასევე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ, გლობალური პრობლემების გადაჭრის მიზნით შემუშავებული დოკუმენტი “*მდგრადი განვითარების მიზნები*” და სხვა. რაც დრო გადის, მით უფრო მეტი სიხშირით იჭრება ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში და შესაბამისად განათლებაშიც მსოფლიო მიღწევები, კონკრეტულად კი ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. მათი გამოყენების გარეშე დღეს წარმოდგენელია პროგრესი სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში. შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება, ინფორმაციული საზოგადოების შექმნა და მსოფლიო ინფორმაციულ სივრცეში აქტიურად ჩართვა, ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტულ ამოცანად არის მიჩნეული. (ეროვნული სასწავლო გეგმა, 135 გვ)

საკვლევი **თემის** **სიახლე** შემდეგია: საჭიროების გამოსავლენი კვლევის შემდეგ, შევქმენით საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსი როგორც მასწავლებლებისთვის, ისე მოსწავლეებისთვის. რესურსი მოიცავს 40-მდე გეოგრაფიულ თამაშს მე-7, მე-8 და მე-9 კლასებისთვის, თემებზე: მსოფლიო პოლიტიკური და

ფიზიკური რუკები, კავკასიის რეგიონი, საქართველოს ნომენკლატურა და სხვა. თამაშების ნახვა შესაძლებელია ლინკზე:

<https://www.purposegames.com/profile/516705/games>

ამასთან, შევქმენით ინტერნეტ რესურსების გზამკვლევი, სადაც თავმოყრილია ოთხი ელექტრონული სასწავლო რესურსის გამოყენების ინსტრუქცია (იხ. დანართი N5).

კვლევის მიზანი: სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, საბაზო საფეხურზე, გეოგრაფიის სწავლებისას ისტ-ის გამოყენების პრაქტიკის კვლევა მოსწავლეებსა და

მასწავლებლებში. აქედან გამომდინარე, **კვლევის ამოცანებია:**

- მეორადი ინფორმაციის მოძიება და დამუშავება;
- კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება;
- ემპირიული კვლევის ჩატარება;
- კვლევის შედეგების ანალიზი და შესაბამისი დასკვნების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მიზნის მისაღწევად შესასრულებელია რამდენიმე ამოცანა, რომელთაგან პირველია *მეორადი ინფორმაციის გაცნობა-დამუშავება*. თემის ირგვლივ, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, უკვე ჩატარებული კვლევების გაანალიზება; საკითხის მთლიანობაში დასანახად, გეოგრაფიის სწავლების მეთოდების კვლევა სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებში.

კვლევის დაგეგმვა და განხორციელება, მონაცემების დამუშავება და ანალიზი შესაბამის ცოდნას, გამოცდილებას და დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ამ ყველაფერს კი წინ უსწრებს ერთი უმნიშვნელოვანესი არჩევანი: კვლევის რა მეთოდის გამოყენებაა მიზანშეწონილი დასმული პრობლემის გადასაჭრელად? ეს ის არსებითი გადაწყვეტილებაა, რომელიც შემდგომი კვლევის წარმატებასა და შედეგების ადეკვატურობას განსაზღვრავს.

შემდეგი, მესამე ამოცანა, კვლევის უშუალო განხორციელებაში მდგომარეობს, რაც საველე სამუშაოებს ითვალისწინებს. ამ ეტაპის ფარგლებში უნდა განხორციელდეს პედაგოგიური ექსპერიმენტი მოსწავლეთა ორ ჯგუფზე, ჩართული დაკვირვება და გეოგრაფიის მასწავლებლების ელექტრონული გამოკითხვა.

საბოლოო ეტაპზე, კვლევის ამოცანას წარმოადგენს, კვლევის შედეგების

განალიზება, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარება ცვლადებს შორის და დასკვნების და რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის საგანი: კვლევის საგანს წარმოადგენს საშუალო განათლების საბაზო საფეხურზე, გეოგრაფიის სწავლა-სწავლებისას ისტ-ის გამოყენების პრაქტიკა.

კვლევის ობიექტი: კვლევის ობიექტია საშუალო განათლების საბაზო საფეხურზე, გეოგრაფიის სწავლა-სწავლებისას ელექტრონული ინსტრუმენტების გამოყენების პროცესი, მოსწავლეებსა და მასწავლებლებში.

კვლევის ჰიპოთეზა:

- საქართველოს სკოლებში, საბაზო და საშუალო საფეხურზე, გეოგრაფიის სწავლებისას, არასათანადო სიხშირით გამოიყენება ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები;
- ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებით სწავლება, ხელს უწყობს მოსწავლეების აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებასა და ამ გზით მიღებული ცოდნის ხანგრძლივ დამახსოვრებას.

კვლევის მეთოდოლოგია: აღწერილი მიზნისა და შემაბამისი ამოცანების გადასაწყვეტად, კვლევის პროცესში გამოყენებულია შემდეგი კვლევის მეთოდები:

- **თეორიული კვლევა** - მეორადი ინფორმაციის დამუშავება;
- **რაოდენობრივი კვლევა** - თვითადმინისტრირებული ელექტრონული კითხვარი; პედაგოგიური ექსპერიმენტი;
- **თვისებრივი კვლევა** - ჩართული დაკვირვება.

კვლევის ინსტრუმენტი - მოსწავლეთა დონის განმსაზღვრელი პრე და პოსტ ტესტები (იხ. დანართი N2, 3); სტრუქტურირებული კითხვარის ელექტრონული ვერსია მასწავლებლებისთვის (იხ. დანართი N1), რომელიც ორი თემატური ნაწილისგან შედგება:

1. კითხვარის ერთი ბლოკი ეთმობა დემოგრაფიულ ნაწილს, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სქესის, ასაკის, სამუშაო ადგილის და გამოცდილების შესახებ.
2. მეორე ბლოკში კი კითხვები დასმულია ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით. კერძოდ, იყენებენ თუ არა ისტ-ს ყოველდღიურ ცხოვრებაში/საგაკვეთილო პროცესში, ძირითადად რა

მიზნით იყენებენ მას, ასევე მათი აზრით ხდის თუ არა ისტ-ის გამოყენება სასწავლო პროცესს მეტად ეფექტურს ვიდრე ტრადიციული სწავლება და რომელ ელექტრონულ სასწავლო რესურსებს იყენებენ კონკრეტულად.

კვლევის სამიზნე ჯგუფია: ა) პედაგოგიური ექსპერიმენტისთვის - “ქართულ-ამერიკული სკოლის” მე-9 (1) და მე-9 (2) კლასები, ჯამში მოსწავლეთა რაოდენობა განისაზღვრა 25-ით. ბ) მასწავლებელთა გამოკითხვისთვის - საქართველოს მასშტაბით, საჯარო და კერძო სკოლის გეოგრაფიის მოქმედი მასწავლებლები.

კვლევის შეზღუდვა - ძირითად შეზღუდვას კვლევის პროცესში წარმოადგენდა ეთიკური საკითხები:

- კვლევის პირველი შეზღუდვა დაკავშირებულია მკვლევარის ეთიკის კოდექსთან. კერძოდ, გამჟღავნებული კვლევის შემთხვევაში, შესაძლოა მოსწავლეებს ქცევა შეეცვალათ და მათი ქმედებები ყოფილიყო ხელოვნური, რაც ზიანს მიაყენებდა შედეგების სანდოობას. სწორედ ამიტომ, კვლევა იყო გაუმჟღავნებელი.
- მეორე შეზღუდვა გამომდინარეობს მასწავლებლის ეთიკის კოდექსიდან. კერძოდ, ექსპერიმენტის ჩატარების პროცესში საჭირო იყო, ექსპერიმენტულ ჯგუფთან საგაკვეთილო მუშაობები წარმართულიყო სასწავლო ტექნოლოგიების გამოყენებით, ხოლო საკონტროლო ჯგუფთან - ტრადიციული მეთოდებით, ელექტრონული რესურსების მინიმალური გამოყენებით. ეს კი ეწინააღმდეგება მასწავლებლის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ ნორმებს.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ის არის გამოყენებითი ხასიათის და კვლევის შედეგად დადგენილი საჭიროებებიდან გამომდინარე, სთავაზობს მასწავლებლებს პოპულარულ, ეფექტიან ელექტრონულ ინსტრუმენტებს ინსტრუქციებით და ასევე ორმოცამდე შექმნილ გეოგრაფიულ თამაშს საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათვის. აღნიშნული ელექტრონული ინსტრუმენტების გამოყენების ეფექტიანობა კი დადასტურებულია კვლევით.

თავი 1. ისტორიული ექსკურსი

1.1. სწავლების მეთოდები

ჯერ კიდევ ქვის ხანის ადამიანის წინაშე წამოიჭრა საჭიროება შეესწავლა დედამიწის ზედაპირი როგორც თავისი მარტივი საქმიანობის ასპარეზი, როგორც წყარო საკვების თუ შესამოსელისა, რომელიც უზრუნველყოფდა მის არსებობას. ამგვარად, გეოგრაფია წარმოიშვა უძველეს დროში ყოველდღიური ცხოვრების პრაქტიკული მოთხოვნილებებიდან. განვლო რა გრძელი და რთული გზა, გეოგრაფიამ როგორც მეცნიერებამ, ჩვენი დროისთვის წარმოუდგენელ განვითარებას მიაღწია. (ვ. ბუდანოვი, 1949)

სხვაგვარ სურათს წარმოადგენს გეოგრაფიის, როგორც სასკოლო სწავლების ნაწილის განვითარება. გვიანდელ შუა საუკუნეებამდე გეოგრაფიის სწავლების შინაარსი ფანტასტიკას უფრო წააგავდა, ვიდრე ნამდვილ მეცნიერულ ნაშრომს. ამასთან, რთული იყო საზღვრის გატარება გეოგრაფიასა და ისტორიას შორის, რადგან გეოგრაფიის საკითხები ძირითადად ისტორიულ ჭრილში ისწავლებოდა და ნაკლებად იყო საუბარი გეოგრაფიულ ობიექტებსა თუ პროცესებზე. პირველი, ვინც სახელმძღვანელოების ასეთი შინაარსის წინააღმდეგ გაილაშქრა, იყო XVI-XVII საუკუნეების მოღვაწე, ჩეხი პედაგოგი იან ამოს კომენსკი, რომელიც თამამად შეგვიძლია მივიჩნიოთ გეოგრაფიის სწავლების მეთოდის მამამთავრად. (ვ. ბუდანოვი, 1949)

კომენსკი თავის ნაშრომში “დიდი დიდაქტიკა”, მრავალ საინტერესო აზრს გამოთქვამს გეოგრაფიის სწავლების შინაარსისა და მეთოდების შესახებ, რომლებსაც აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს. ის მიიჩნევს, რომ გეოგრაფიის სწავლება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ეს საგანი უნდა ისწავლებოდეს სწავლების ყველა საფეხურზე. კომენსკი ხაზს უსვამს იმ აზრს, რომ უნდა ვასწავლოთ ის, რაც გამოსაყენებელია პრაქტიკაში, ყოველდღიურ ცხოვრებაში. გამოგნებელია მისი დაჟინებული მოთხოვნა თვალსაჩინო სწავლების შესახებ. მისი აზრით, თვალსაჩინოება შეძლებისდაგვარად უნდა გამოიხატებოდეს რეალური სინამდვილიდან აღებული საგნებისა და მოვლენების შესწავლაში, მაგრამ რადგანაც ხელშესახებად ყველაფრის ჩვენება შეუძლებელია, უნდა მივმართოთ სურათებსა და რუკებს. (ვ. ბუდანოვი, 1949)

დღეისათვისაც კი, საკმაოდ პროგრესულია ჩეხი პედაგოგის მოსაზრება იმის

შესახებ, რომ კვირაში ერთი საათი მოსწავლეებთან ერთად გაზეთის კითხვას უნდა ეთმობოდეს, რათა ამ გზით მასწავლებელმა მოსწავლეები დაახლოვოს თანამედროვეობასთან.

მიუხედავად ყოველივე ზემოთ ხსენებულისა, ჩანს, რომ კომენსკის გავლენა სასკოლო სისტემაზე დიდი არ იყო. როგორც მისი მოღვაწეობის პერიოდში, ისე შემდეგ - XVIII საუკუნეში, გეოგრაფიის შინაარსის სწავლება და მეთოდოლოგია, მეტად დაბალ დონეზე მიმდინარეობდა.

ამ ეპოქის საგანმანათლებლო სისტემის დამახასიათებელი ნიშანი იყო ის, რომ მოსწავლეს უფლება არ ჰქონდა გამოეთქვა თავისი აზრი იმ შემთხვევაშიც კი თუ ამის შესახებ ეკითხებოდნენ. მასწავლებელი მიიჩნეოდა ყოვლისმცოდნედ და სასწავლო პროცესის ცენტრად. მიუხედავად მსგავსი ჩაკეტილი სისტემისა, იყვნენ მოაზროვნეები, რომლებიც მსჯელობდნენ გეოგრაფიის არა მხოლოდ წიგნებით და რუკებით სწავლებაზე, არამედ მის სწავლაზე გარემოზე პირადი დაკვირვების ანუ ექსკურსიის გზით. ჟან ჟაკ რუსოს ნაშრომში “ემილი” ვხვდებით ჩანაწერს : “არასოდეს არ დაიწყეთ საგნის სიმბოლოებით სწავლება, არამედ უჩვენეთ თვითონ საგანი”. რუსოს ეკუთვნის პროგრესული იდეები: სწავლება ცხოვრების მოვლენებზე თვით ბავშვის უშუალო დაკვირვებით, ბრძოლა მხოლოდ წიგნით და სიტყვიერი სწავლების წინააღმდეგ, ჯანსაღი ბავშვური ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება და სხვა. სწორედ რუსოს პედაგოგიურ იდეებზე დაყრდნობით გაჩნდა მიმდინარეობა ფილანტროპიზმი. მისი წარმომადგენლები აარსებდნენ სკოლებს სოფლებში, სადაც გეოგრაფიის სწავლება გარემოზე უშუალო დაკვირვებით ხორციელდებოდა, ამასთან მიმართავდნენ ექსკურსიებს, გეოგრაფიულ თამაშებს, პოპულარული გეოგრაფიული წიგნების კითხვას და ა.შ. (ვ. ბუდანოვი, 1949)

ზემოთ ჩამოთვლილი პროგრესული იდეების განხორციელება გეოგრაფიის სწავლებისას, გამონაკლის, ერთეულ შემთხვევებში ხდებოდა ევროპის ისეთ ქვეყნებში როგორებიცაა გერმანია, საფრანგეთი, შვეიცარია და კიდევ რამდენიმე თითზე ჩამოსათვლელი. მიუხედავად ასეთი წინგადადგმული ნაბიჯისა, გეოგრაფიის სასწავლო პროგრამები ზედმეტად იყო გადატვირთული ისტორიული და სტატისტიკური ცნობებით, რაც მოსწავლისგან მოითხოვდა უამრავი უცხო ტერმინის მექანიკურ

დაზიარებას. (ვ. ბუდანოვი, 1949)

საქართველოში მნიშვნელოვანი გეოგრაფიული დაწესებულებების შექმნა და ზოგადად, სასკოლო გეოგრაფიის სწავლების საწყისები, კომუნისტურ რეჟიმს უკავშირდება, ამიტომ სწავლების მეთოდის გაგება მხოლოდ საბჭოთა ლიტერატურის მიმოხილვით არის შესაძლებელი.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე, მონოპოლიებისა და კაპიტალის განვითარებასთან ერთად, გეოგრაფიის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა, რამდენადაც სკოლის წინაშე დადგა ამოცანა, მიეცა სამრეწველო განათლება მოზარდებისთვის, რომლებსაც კარგად ეცოდინებოდათ თავისი და სხვა ქვეყნების სახელმწიფოთა ბუნება და მეურნეობა. გაჩნდა აგრონომიული, სატყეო, სამთო, სატრანსპორტო სკოლები. განათლების სპეციალისტები დრო და დრო ადგენდნენ და ასწორებდნენ იმ პრობლემებს, რაც ამ ტიპის სწავლებას სდევდა თან. ძირითადად, ეს ეხებოდა მასალის გამარტივებას, მეტი თვალსაჩინოების შემოტანას და სხვა. ისინი ასევე ხვეწდნენ სწავლების გზებს და ამდიდრებდნენ სასწავლო რესურსების ჩამონათვალს. (ვ. ბუდანოვი, 1949)

1.2. თვალსაჩინოებით მუშაობის მეთოდოლოგია

საილუსტრაციო მასალები, რომლის გამოყენება სწავლებაში თვალსაჩინოების პრინციპის განხორციელების ერთ-ერთი გზაა, გეოგრაფიული ცოდნის შეძენის მნიშვნელოვანი წყაროა.

ფიზიკური გეოგრაფია აცნობს მოსწავლეებს მთელ რიგ მოვლენებს, რომლებიც მათ არ უნახავთ: პოლარული წყლები, ტროპიკული ტყეები, ვულკანის ამოფრქვევა და სხვა. ამ შემთხვევაში სწორი და ნათელი წარმოდგენის მიწოდება მოსწავლისთვის მხოლოდ სიტყვებით მეტად ძნელია, ამიტომ სურათის გამოყენება გეოგრაფიაში სავალდებულოდ უნდა ჩითვალოს. სურათი უნდა შეირჩეს თემასთან შესაბამისობის მიხედვით და მასწავლებელმა უნდა მოამზადოს რიგი კითხვები მის გასარჩევად, შესაძლებელია სურათის დამოუკიდებელი გარჩევაც მოსწავლის მხრიდან. (ა. პოლოვინკინი, 1955)

სურათის, რუკის და დიაგრამების გარდა, საილუსტრაციო მასალად შეგვიძლია

მივიჩნით ბუნებრივი რესურსების ნიმუშების ჩვენება სკოლაში, როგორებიცაა: სასარგებლო წიაღისეული სიმდიდრეები, საშენი მასალები, ნიადაგები, მცენარეები და სხვა. თითოეული თვალსაჩინოება შენახული უნდა იყოს სპეციალურად დაცულ ადგილას თავისი წარწერებით, გამოყენება კი უნდა ხდებოდეს თემატიკის შესაბამისად.

სსრ გეოგრაფიის სწავლებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ხატვას დაფაზე და საშინაო დავალების რვეულში. ამგვარად, მასწავლებელი ახსნის პარალელურად დაფაზე ხატავს სხვადასხვა გეოგრაფიულ ობიექტს და შემდეგ მოსწავლესაც სთხოვს იგივე ჩახატოს რვეულში, ამ მეთოდით ხდება ერთი და იგივე ინფორმაციის სხვადასხვა ფორმით გადმოცემა, ეს კი ხელს უწყობს მასალის ეფექტურ დამახსოვრებას.

სსრ გეოგრაფიის სწავლებაში დიდია ექსკურსიების როლი. ექსკურსიას არცერთ საგანში არ აქვს ისეთი დიდი მნიშვნელობა, როგორც გეოგრაფიაში. ის შეიძლება მოეწყოს ბუნებაში, საწარმოსა თუ მუზეუმში, წინასწარ შემუშავებული სამოქმედო გეგმის მიხედვით, რომელიც გააერთიანებს ინფორმაციას მასწავლებლის და მოსწავლის წინასწარ მომზადებაზე, ექსკურსიის მსვლელობაზე და ბოლოს მოპოვებული მასალის დამუშავებაზე, რომელიც შეიძლება იყოს გამოფენა, თემის დაწერა და სხვა. (ა. პოლოვინკინი, 1955)

1.3. კინო, როგორც ახალი სასწავლო რესურსი სკოლაში

გასულ საუკუნეში კინოს, როგორც სასწავლო რესურსის გამოყენება, უდაოდ აღსანიშნავი და განსაცვიფრებელი ფაქტია. მიიჩნევა, რომ კინო უზრუნველყოფს დროის დაზოგვას და შრომის ნაყოფიერებას. კინოს თავისებურებაა დროის მცირე მონაკვეთში, დიდი მოცულობის ინფორმაციის გადაცემა. ასევე, მოსწავლეები ფილმს დიდი სიამოვნებით უყურებენ.

პრაქტიკამ აჩვენა, რომ ნაკლებად გასაგები და მოსაწყენი მასალაც კი კინოს გამოყენების დროს ბავშვებისთვის მიმზიდველი ხდება. ფილმის ჩვენება გაკვეთილზე უნდა პასუხობდეს სასწავლო პროგრამას და ძირითადად შეიცავდეს მოცემული გაკვეთილისთვის აუცილებელ მასალას.

სასურველია თუ ფილმის ჩვენებას წინ უძღვის შესავალი, თან ახლავს ახსნა-განმარტებანი და ბოლოს დასკვნა. (ა. პოლოვინკინი, 1955)

1.4. სწავლების თანამედროვე მიდგომები

დღეს ხშირად უპირისპირებენ ერთმანეთს ტრადიციულ და თანამედროვე, კონსერვატიულ და რეფორმატორულ, ავტორიტარულ და დემოკრატიულ, მასწავლებლებზე ცენტრირებულ და მოსწავლეზე ცენტრირებულ პედაგოგიკას. შეიძლება ვთქვათ, რომ ყველა ამ შემთხვევაში, ძირითადად, ლაპარაკია სასწავლო პროცესის და მისი მონაწილეების ფუნქციათა განსხვავებულ გაგებაზე.

როგორც ისტორიულ მიმოხილვაში ვნახეთ, ყველა დროში იყვნენ პროგრესული, განვითარებაზე ორიენტირებული პედაგოგები, ისინი რეალურად იყენებდნენ და იძიებდნენ იმ რესურსებს, რომლებიც მათი ეპოქისთვის იყო თანამედროვე და ინოვაციური. ამგვარი სულისკვეთება და მოტივაცია პედაგოგთა მხრიდან უდაოდ ძალიან დასაფასებელია, თუმცა არის პრობლემა, რომელიც არა ერთეულ მასწავლებელს, არამედ მთლიანად მაშინდელ სისტემას ახასიათებდა, ესაა მასწავლებლის ცენტრალური, ხოლო მოსწავლის პასიური როლი საგაკვეთილო პროცესში.

საქართველოში სწავლის ტრადიციულ გაგებას კარგად გადმოსცემს დავით გურამიშვილის სიტყვები - „სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების“. ეს ნიშნავს, რომ სწავლა სიამოვნებისთვის კი არა, საჭიროებისათვის უნდა აკეთო. ამ კონცეფციის მიხედვით სწავლა, მხოლოდ საბოლოო მიზნით გამართლებულ მძიმე სამუშაოდ ითვლება, რომელიც ნებისყოფის დამაბვას მოითხოვს. სასწავლო პროცესის მთავარი მიზანი, ცოდნის მიცემა, ერთის მხრივ, მიიღწევა მასწავლებლის აქტიურობით - გაკვეთილის ახსნით, დავალების მიცემით, შესრულების შეფასებით და ა.შ. მეორეს მხრივ - მოსწავლის მასწავლებლისადმი დამორჩილებით, რაც გულისხმობს ყურადღებით მოსმენას, მისი ნათქვამის დამახსოვრებას, დავალების შესრულებას ისე, როგორც მასწავლებელს სურს და სხვა. როგორც ვხედავთ, მოსწავლე არაფერს არ წყვეტს სასწავლო პროცესში, ის მხოლოდ უფროსების გადაწყვეტილებათა შემსრულებელია და არ აქვს უფლება იმოქმედოს თავისი ინტერესით. ამიტომ ჰქვია ამ სისტემას მასწავლებელზე ორიენტირებული და ავტორიტარული. (რ. საყვარელიძე, 2004)

სამეცნიერო ტექნიკურმა პროგრესმა თანამედროვე შრომის ბაზარი შეცვალა და შესაბამისად შეცვალა მოთხოვნები განათლების სისტემის მიმართ. პრინციპულად

შეუძლებელია ახალგაზრდისათვის იმ ცოდნის მთელი სისრულით წინასწარ მიცემა, რაც ესაჭიროება სპეციალისტს დღევანდელ პირობებში. ერთის მხრივ, ცოდნის თოთოეულ დარგში ინფორმაციის ისეთი რაოდენობა არის დაგროვილი, რომ მისი „მოთავსება“ თორმეტ წელიწადში სულ უფრო ძნელდება. მეორეს მხრივ, შრომის ბაზარი და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი ისეთი სისწრაფით ვითარდება, რომ ვერც საშუალო და ვერც უმაღლესი სკოლის პროგრამები ვერ ასწრებს ამავე სიჩქარით შეცვლას. ამიტომ, უფრო მიზანშეწონილად არის მიჩნეული, რომ სკოლამ მოსწავლეს მიაწოდოს ამა თუ იმ მეცნიერების საფუძვლები, მაგრამ, ამასთან ერთად, განუვითაროს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების და ახალი ცოდნის დამოუკიდებლად მიღების უნარი, რაც გარკვეულ პიროვნულ თავისებურებებს, მათ შორის, შემოქმედებით აზროვნებასაც გულისხმობს.

ამდენად, სასწავლო პროცესში ამაყმად წინა პლანზე გამოდის ახალგაზრდის პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარის განვითარება. ტრადიციული სკოლა ამ მოთხოვნას ვერ პასუხობს, რადგან მის ფარგლებში ხშირად მხოლოდ ინფორმაციის მექანიკური დამახსოვრების უნარზე კეთდება აქცენტი.

პედაგოგიური მიდგომების განახლების საკითხს აყენებს თანამედროვე ცხოვრების სპეციფიკა, რომ საუკუნეთა განმავლობაში მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის რეალური ინფორმაციის (ცოდნის) ძირითადი წყარო იყო მასწავლებელი. ამ პირობებში ახალგაზრდებსაც მეტი ინტერესი ჰქონდათ მასწავლებლის სიტყვის მიმართ. დღეს სამეცნიერო ტექნიკური რევოლუციის გამო ახალგაზრდას ინფორმაციის უამრავი წყარო აქვს, რომელთან კონკურენციაც მასწავლებელს სულ უფრო უჭირს. ადრე მასწავლებელი შეიძლებოდა დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ ინფორმაციის მიმწოდებლის და შემმოწმებლის ფუნქციით. ხოლო დღეს, ინფორმაციული მოზღვაგების ეპოქაში, ცოდნის მიღებაც და მისი შემოწმებაც შესაძლებელია მასწავლებლის გარეშე. ტრადიციული ფუნქციების შენარჩუნება მასწავლებელს გაუჭირდება, მან სხვა ფუნქცია უნდა მოიპოვოს. ალბათ, ამიტაც უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ სწავლების ახალი მეთოდების მიმართ დიდია თვით მასწავლებლების ინტერესი.

როგორც ვხედავთ, საზოგადოების, ბავშვის და მასწავლებლის ინტერესების გათვალისწინება სკოლის წინაშე ახალ ამოცანებს აყენებს: ინფორმაციის დიდი

მოცულობის ათვისების ოპტიმიზაცია, ბავშვის პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარება, მისი აქტიური როლი საგაკვეთილო პროცესში, თანამშრომლობითი სწავლება, ინფორმაციის თანამედროვე წყაროების აქტიურად გამოყენება და სხვა.

XXI საუკუნის გლობალური სამყარო ახალ მოთხოვნებს უყენებს თანამედროვე მასწავლებელს, ის აღჭურვილი უნდა იყოს ინოვაციის, ინფორმაციის მოპოვება-ანალიზის, შემოქმედებითობის; საინფორმაციო, მედია და ტექნოლოგიური უნარ-ჩვევებით; ასევე მნიშვნელოვანია მედიაწიგნიერება, საინფორმაციო წიგნიერება და ტექნოლოგიური წიგნიერება.

თავი 2. რას გულისხმობს გეოგრაფიის სწავლება ისტ-ის გამოყენებით

2.1. უპირატესობები და ნაკლოვანებები

გეოგრაფიის, როგორც სასკოლო საგნის სწავლა, მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მისი მეშვეობით მოსწავლეები ამყარებენ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებებს შორის; ეცნობიან გარემოს და მდგრადი განვითარების საკითხებს. ნებისმიერი პროფესიის ადამიანს სჭირდება მისი წილი გეოგრაფიული საკითხების ცოდნა. საგნის მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე, საჭიროა მისი მაღალ დონეზე სწავლა. სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების თანამედროვე გზა ისტ-ის ინტეგრირებაა, რადგან დღევანდელ - ციფრულ სამყაროში წარმოდგენელია ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე აქტუალური ინფორმაციის დაუფლება და წინსვლა. თუ სხვა ქვეყნებში შეძლეს საინფორმაციო ტექნოლოგიების ინტეგრირებით სასწავლო პროცესში შედეგების გაუმჯობესება, იგივე სრულიად შესაძლებელია ჩვენს რეალობაშიც.

უამრავი სიკეთეების პარალელურად, რასაც გვთავაზობს საგაკვეთილო პროცესში ისტ-ის ინტეგრირება, მის გამოყენებას თან სდევს რიგი სირთულეებიც. დასაწყისში განვიხილოთ მისი უპირატესობები:

- ✚ სასწავლო პროცესში ერთვება უფრო მეტი მოსწავლე;
- ✚ სწავლების პროცესი სცდება საკლასო ოთახს;
- ✚ მოსწავლეები იმაღლებენ ტექნიკურ ცოდნას;
- ✚ ხდება კავშირის დამყარება თეორიასა და პრაქტიკას შორის;
- ✚ შესასწავლი ობიექტების შესახებ იგებენ თანამედროვე და აქტუალურ მონაცემებს;
- ✚ სწავლების პროცესი უფრო მართვადი ხდება;
- ✚ სწავლების ტრადიციულ გარემოს ენაცვლება ციფრული გარემო;
- ✚ სწავლება ხდება ხელმისაწვდომი და საინტერესო;
- ✚ სწავლება ხდება უფრო ინტერაქტიული;
- ✚ მყარდება საგანთაშორისი კავშირები;
- ✚ ციფრული შედეგების მიღება;

✚ იზრდება საგნის სწავლის აქტუალობა.

რაც შეეხება ისტ-ის საგაკვეთილო პროცესში ინტეგრირების ნაკლოვანებებს, მისი ჩამონათვალი ვრცელი არ არის, თუმცა, არის რიგი საკითხები, რომელსაც მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს.

✚ დროის მართვა. მოსწავლეთა ნაწილი ციფრულ ტექნოლოგიებს ფლობს კარგად, ზოგი სუსტად, რაც დავალების შესრულების დროზეც აისახება;

✚ სამწუხაროდ ხშირია სუსტი ინტერნეტ კავშირის და ტექნიკური ხარვეზების პრობლემა;

✚ არსებობს რისკი იმის, რომ მოსწავლე ონ-ლაინ მეცადინეობისას, ასაკის შეუსაბამო ინფორმაციას იხილავს;

✚ სამუშაოს დასრულების შემდეგ, მოსწავლეთა ნაწილს უჩნდება სურვილი არასაგანმანათლებლო ვებ-გვერდებზე შესვლის, როგორებიცაა სხვადასხვა სოციალური ქსელები. ეს კი, თავის მხრივ იწვევს წესრიგის დარღვევას და სხვა - მუშაობის პროცესში მყოფი ბავშვების ყურადღების გაფანტვას;

✚ მართალია, ისტ-ი ამდღებს გეოგრაფიის გაკვეთილების მიმზიდველობას, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ არ მოხდეს წიგნის ჩანაცვლება ელ-რესურსებით. ინტერნეტი ვერც მთლიანად და ვერც ნაწილობრივ ვერ ცვლის სახელმძღვანელოსა და მასწავლებელს;

✚ რაც მეტ დროს ატარებს ბავშვი კომპიუტერთან, მით ნაკლებია მისი ფიზიკური აქტიურობის დონე, ამასთან დროთა განმავლობაში მას უქვეითდება კომუნიკაციის უნარ-ჩვევებიც;

✚ რადგანაც თანამედროვე, აქტუალური ინტერნეტ რესურსების დიდი ნაწილი ინგლისურ ენაზეა წარმოდგენილი, იქმნება ენობრივი ბარიერის პრობლემა მასწავლებლებში.

2.2. გამჭოლი კომპეტენციები და ისტ-ის ინტეგრირება საგაკვეთილო პროცესში

თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების აქტუალურობას ხაზს უსვამს დოკუმენტი “ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნები”, სადაც ხაზგასმულია ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენების მნიშვნელობა. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების და საზოგადოებრივი მოვლენების გათვალისწინებით, ეროვნული სასწავლო გეგმა გამოყოფს ცხრა პრიორიტეტულ გამჭოლ კომპეტენციას, რომელთა ფლობა გადამწყვეტია თანამედროვე სამყაროში თვითრეალიზების და სათანადო ადგილის დამკვიდრებისთვის.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები “მეკუთვნება გამჭოლ სასწავლო პრიორიტეტებს”, აქედან, “ისტ-ის სწავლება არ მოიაზრება სასწავლო დისციპლინებიდან დამოუკიდებლად, მათი კონტექსტისგან განცალკევებით. ისტ-ის სასწავლო გეგმის რეალიზება უნდა მოხდეს ყოველ ცალკეულ სასწავლო დისციპლინაში. ამ ინსტრუმენტით შესაძლებელია ძირითადი სასწავლო დისციპლინების ერთმანეთთან ეფექტური ინტეგრაცია” (ესგ, ისტ-ის როლი და მიზნები სასწავლო პროცესში, გვ. 476).

ერთ-ერთი გამჭოლი კომპეტენციაა მედიაწიგნიერება. საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების შედეგად, თანამედროვე სამყაროში, ტრადიციულ ტექსტებთან ერთად, მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მულტიმედიურმა ტექსტებმა, რომლებიც ერთდროულად იყენებს ენობრივ, ხმოვან და ვიზუალურ საშუალებებს. გარდა ამისა, თანამედროვე მსოფლიოში მედია ყველაზე მძლავრი კულტურული იარაღია, რომელმაც ადამიანის ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა. ამიტომ, აუცილებელია მოსწავლემ შეძლოს, ერთი მხრივ, ამ ახალი სტილისა და მრავალგვარი ფორმის მულტიმედია ტექსტების აღქმა-გააზრება, ინტერპრეტირება, გამოყენება და შექმნა, მეორე მხრივ, მედია სამყაროში ორიენტირება, სწორი არჩევანის გაკეთება (ინფორმაციის „გაფილტვრა“) და მიღებული ინფორმაციის კრიტიკულად შეფასება. ამ თვალსაზრისით, მედიაწიგნიერება ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას.

შემდეგი კომპეტენციაა ციფრული წიგნიერება (იგივეა, რაც კომპიუტერული

წიგნიერება). თანამედროვე მსოფლიოში საკომუნიკაციო და ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ წიგნიერების ცნება კიდევ უფრო გააფართოვა. იგი ამჟამად მოიცავს ქსელური ძიების, ტექსტების ელექტრონული დამუშავებისა და ტექსტური შეტყობინების პროგრამების გამოყენების უნარსაც, რასაც მთლიანობაში ციფრული წიგნიერება ეწოდება. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ხელს უწყობს შემოქმედებითი და ინოვაციური მიდგომების გამომუშავებას მოსწავლეებში.

ყოველივე ზემოთ მოყვანილი, არგუმენტებია სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების დანერგვის საჭიროებისა. აღნიშნული პრაქტიკის დანერგვის მცდელობა რამდენიმე წლის უკან დაიწყო საქართველოში. ასეთი მისწრაფების ერთ-ერთი ნათელი გამოხატულებაა პირველ კლასელთათვის კომპიუტერების დარიგება, ხშირი ტრენინგები მასწავლებლებისთვის აღნიშნული თემატიკის ირგვლივ, კონფერენციები და სხვა.

სწორად შერჩეული ელექტრონული ინსტრუმენტი დიდწილად განსაზღვრავს მოსწავლის მოტივაციის დონეს. ისინი მეტი ენთუზიაზმით ერთვებიან საგაკვეთილო პროცესში და გულდასმით ეკიდებიან მიცემულ დავალებას.

2.3. გეოგრაფიული განათლება, ისტ-ი და მდგრადი განვითარება

განათლებასა და მდგრად განვითარებას შორის კავშირი არის ძლიერი. გლობალიზებულ მსოფლიოში, ჩვენს თითოეულ ქმედებას აქვს პირდაპირი ან ირიბი გავლენა მომავალ თაობაზე და ასევე დედამიწის სხვა ადგილებში მცხოვრებ ადამიანებზე. კლიმატური ცვლილებები, ბიომრავალფეროვნების შემცირება, წყლის დაბინძურება და ჩვენი დროის სხვა გლობალური გამოწვევები ვერ იქნება სათანადოდ გააზრებული ინფორმირებულობის, განათლების გარეშე, რომლებიც თავის მხრივ აყალიბებენ მომავალ თაობაში მდგრადობის განცდას და პასუხისმგებლობას გარემოს მიმართ.

მდგრადი განვითარება ნიშნავს თანამედროვე მოთხოვნებისადმი ისეთ დამოკიდებულებას, რომ მომავალი თაობების მოთხოვნათა დაკმაყოფილებას საფრთხე არ შეექმნას. ის გაცილებით ტევადი და მრავალწახნაგა ცნებაა, ვიდრე ეკოლოგიური

უსაფრთხოება და საზოგადოების განვითარების მრავალ სფეროს მოიცავს. 2005 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ღონისძიება – „განათლება მდგრადი განვითარებისათვის“. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ გეოგრაფიის წვლილი ამ გლობალური მიზნის მიღწევის გზაზე დიდია, რადგან სასკოლო განათლების ფარგლებში, რომელსაც ეროვნული სასწავლო გეგმა გვკარნახობს, დიდი ადგილი აქვს დათმობილი სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური პროცესების განხილვას. სწავლების საშუალო საფეხურზე, ესგ-ს მიხედვით: *“გეო.XI.6. მოსწავლეს შეუძლია გააცნობიეროს გლობალური პრობლემების გადაჭრაში ლოკალურ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე შემუშავებული კოორდინირებული პოლიტიკის აუცილებლობა”* [ეროვნული სასწავლო გეგმა, 2018].

როგორც უკვე ვნახეთ, კიდევ ერთხელ დადასტურდა გეოგრაფიის სწავლების მნიშვნელობა. იმისთვის, რომ ამ დისციპლინის სწავლა-სწავლების პროცესი გახდეს მეტად ეფექტიანი და იყოს შესაბამისობაში მოსული თანამედროვე გამოწვევებთან, საგანმანათლებლო სისტემაში ისტ-ის ინტეგრირებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. გეოგრაფიის სწავლებისას კი მისი გამოყენება პრინციპულად მნიშვნელოვანია. სამივე კომპონენტი: გეოგრაფიული განათლება, ისტ-ი და მდგრადი განვითარება ერთი მთლიანი ჯაჭვის შემადგენელი ნაწილებია.

თავი 3. სხვა ქვეყნების გამოცდილება

3.1. ალბანეთის მაგალითი

ალბანეთში ჩატარებული კვლევის “ისტ-ის გამოყენება გეოგრაფიის სწავლების პროცესში ალბანეთის სკოლებში საბაზო და საშუალო საფეხურზე”, მიზანი იყო ეკვლიათ ისტ-ის გამოყენების როლი გეოგრაფიის სწავლებისას. კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდებით. ალბანეთის რამდენიმე ქალაქში გამოიკითხა 100 მოსწავლე, 50 მასწავლებელი და 30 ექსპერტი. შედეგად გამოვლინდა, რომ მნიშვნელოვანი განსხვავებაა გეოგრაფიის სწავლებისას ისტ-ის ინტეგრირების კუთხით ქალაქის და სოფლის სკოლებში. მეორე პრობლემა რაც გამოიკვეთა, იყო თანამედროვე ტექნოლოგიებთან მუშაობის სირთულეები იმ მასწავლებლებში, რომლებიც მრავალი წლებია ასწავლიან ტრადიციული მეთოდებით და უჭირთ ახლის ათვისება. ამ პრობლემას კიდევ უფრო ამძაფრებს ენობრივი ბარიერი, ელექტრონული რესურსების უმრავლესობა არის ინგლისურ ენაზე, რაც შედარებით ასაკოვანი ალბანურ ენაზე მოსაუბრე მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა.

საბოლოოდ, რეკომენდაციის სახით, კვლევა სთავაზობს განათლების სამინისტროს იზრუნოს ტრენინგების მეტი სიხშირით ჩატარებაზე, განსაკუთრებით კი სასოფლო ტიპის დასახლებებში, სადაც იგივე პრობლემა მეტად თვალშისაცემია. (E. Zenelaj, 2013)

3.2. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მაგალითი

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, კეიპის პროვინციაში ჩატარებული კვლევა მიზნად ისახავდა იმ უნარ-ჩვევების გამოვლენას, რომელთა განვითარებასაც უწყობს ხელს ტექნოლოგიების ინტეგრირება სწავლების პროცესში. კვლევის მეორე მიზანს წარმოადგენდა იმ მიზეზების გამოკვლევა, რომლებიც ხელს უშლიან მასწავლებლებს საგაკვეთილო პროცესში გამოიყენონ ელექტრონული რესურსები. მთავარი სათქმელი, რაც კვლევის დასკვნაში იყო, არის შემდეგი: მასწავლებლებს აქვთ არასაკმარისი ისტ-ის გამოყენების კომპეტენცია, შესაბამისად მისი გამოყენებისას ვერ იქნებიან საკმარისად თავდაჯერებულები, რაც მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორია; ასევე აქვთ არასათანადო მხარდაჭერა იმ მასწავლებლებისგან, რომლებიც კარგად ახდენენ ისტ-ის ინტეგრირებას თავიანთ საგაკვეთილო პროცესში; და ბოლოს, კომპიუტერების

საჭიროზე ნაკლები რაოდენობა და ლაბორატორიაში შესვლის პრობლემა.

როგორც ალბანეთსა და სარ-ში ჩატარებული კვლევების განხილვისას გამოჩნდა, საგანმანათლებლო პრობლემები და გამოწვევები ემთხვევა იმ სირთულეებს, რომლებიც საქართველოშია. მართალია, ეს კვლევები ძალიან ინფორმატიულია და ემსახურება ცოდნის გაღრმავებას ამ მიმართულებით, მაგრამ მოკლებულია პრაგმატიზმს. ჩვენი კვლევის სიახლე კი იმაში მდგომარეობს, რომ გეოგრაფიის მასწავლებლებს ვთავაზობთ სახალისო და პროდუქტიულ ელექტრონულ რესურსებს გაკვეთილების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, მაშინ როცა, საზღვარგარეთ ჩატარებული კვლევები ძირითადად ემსახურება ისტ-ის ეფექტიანობის გამოვლენას, მისი გამოყენება/არ გამოყენების მიზეზების კვლევას. ეს ყველაფერი კი იმის ფონზე, რომ ისტ-ის არგამოყენების მთავარ მიზეზად სწორედ რესურსების არ ცოდნაა გამოვლენილი მასწავლებლების მხრიდან, როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. სასიხარულოა, რომ შერჩეული თემატიკა ეხმიანება საერთაშორისო საგანმანათლებლო პრობლემებსა და გამოწვევებს და ლოკალურ ჭრილში განიხილავს მათ.

კვლევითი ნაწილი

სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილი კვლევა მიზნად ისახავს გეოგრაფიის სწავლებისას ისტ-ის გამოყენების პრაქტიკის კვლევას. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, მიზნად დავისახეთ შემდეგი ჰიპოთეზის შემოწმება-დამტკიცება:

1. საქართველოს სკოლებში, საბაზო საფეხურზე, გეოგრაფიის სწავლებისას არასათანადო სიხშირით გამოიყენება ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები;
2. ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებით სწავლება, ხელს უწყობს მოსწავლეების აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას და ამ გზით მიღებული ცოდნის ხანგრძლივ დამახსოვრებას.

კვლევის განსახორციელებლად, დავსახეთ კვლევის ამოცანები:

- ა) მეორადი ინფორმაციის მოძიება და დამუშავება;
- ბ) მეთოდოლოგიის შემუშავება;
- გ) ემპირიული კვლევის ჩატარება
- დ) კვლევის შედეგების ანალიზი და შესაბამისი დასკვნების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა: ქართულ-ამერიკული სკოლის მე-9 (1) და მე-9 (2) კლასები, ჯამში მოსწავლეთა რაოდენობა განისაზღვრა 25-ით.

კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენს დაკვირვების დღიური და სტრუქტურირებული კითხვარი (იხ. დანართი N1), რომელიც ორი თემატური ნაწილისგან შედგება:

1. კითხვარის პირველი ბლოკი ეთმობა დემოგრაფიულ ნაწილს, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სქესის, ასაკის, სამუშაო ადგილის და გამოცდილების შესახებ.
2. მეორე ბლოკში კითხვები დასმულია ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით. კერძოდ, იყენებენ თუ არა ისტ-ს ყოველდღიურ ცხოვრებაში/საგაკვეთილო პროცესში, ძირითადად რა მიზნით იყენებენ მას, ასევე მათი აზრით ხდის თუ არა ისტ-ის გამოყენება

სასწავლო პროცესს მეტად ეფექტურს ვიდრე ტრადიციული სწავლება და რომელ ელექტრონულ სასწავლო რესურსებს იყენებენ კონკრეტულად.

კვლევის შეზღუდვა: კვლევის პირველი შეზღუდვა დაკავშირებულია მკვლევარის ეთიკის კოდექსთან. კერძოდ, გამჟღავნებული კვლევის შემთხვევაში, შესაძლოა მოსწავლეებს ქცევა შეეცვალებათ და მათი ქმედებები ყოფილიყო ხელოვნური, რაც ზიანს მიაყენებდა შედეგების სანდოობას. სწორედ ამიტომ, კვლევა იყო გაუმჟღავნებელი. მიგვაჩნია, რომ ეს არ წარმოადგენს მნიშვნელოვან დარღვევას, რადგან იგივე კონტექსტში, არ ილახება მონაწილეთა თვითპატივისცემა არ მჟღავნდება საიდუმლო, ამასთან კვლევა არ არის სენსიტიური.

მეორე შეზღუდვა გამომდინარეობს მასწავლებლის ეთიკის კოდექსიდან. კერძოდ, ექსპერიმენტის ჩატარების პროცესში საჭირო იყო, ექსპერიმენტულ ჯგუფთან საგაკვეთილო მუშაობები წარმართულიყო სასწავლო ტექნოლოგიების გამოყენებით, ხოლო საკონტროლო ჯგუფთან - ტრადიციული მეთოდებით, ელექტრონული რესურსების მინიმალური გამოყენებით. ეს კი ეწინააღმდეგება მასწავლებლის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ ნორმებს:

“მასწავლებელი იჩენს თანაბარ ყურადღებას ყველა მოსწავლის მიმართ, განურჩევლად სქესის, რასის, ენის, რელიგიის ან სხვა ნიშნისა და ზრუნავს, რომ ყველა მოსწავლემ მიიღოს ხარისხიანი განათლება”, ასევე “მასწავლებელი, პროფესიული ვალდებულების შესრულებისას, დამოუკიდებელი, კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელია”.

სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში განხორციელებული კვლევა, შეიძლება დაიყოს ხუთ ნაწილად.

კვლევის **პირველ ნაწილს** წარმოადგენს სამაგიდე კვლევა. მის ფარგლებში გავანალიზეთ დოკუმენტები და ლიტერატურა, რომელიც რელევანტური იყო ჩვენი კვლევისთვის. თემატიკიდან გამომდინარე დავამუშავეთ შემდეგი დოკუმენტები:

- ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები
- ეროვნული სასწავლო გეგმა
- ათასწლეულის განვითარების მიზნები საქართველოში
- მდგრადი განვითარების მიზნები

➤ მასწავლებლის ეთიკის კოდექსი

აღნიშნული მასალის გაანალიზება დაგვეხმარა განათლების სისტემაში არსებული ტენდენციების და სიახლეების გაგებაში. ჩვენი თემიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ციფრული ტექნოლოგიებით სწავლების დანერგვის საკითხი.

კვლევის მეორე ეტაპი - პედაგოგიური ექსპერიმენტი, იყო კომპლექსური. ექსპერიმენტულ ჯგუფს წარმოადგენდა მე-9 (1) კლასი, სადაც ხდებოდა დამოუკიდებელი ცვლადით მანიპულირება, ხოლო საკონტროლო ჯგუფი იყო მე-9 (2) კლასი, რომელზეც არ ხდებოდა არანაირი ზემოქმედება. დამოუკიდებელ ცვლადს წარმოადგენდა ციფრული ტექნოლოგიები (კომპიუტერი, ინტერნეტი, პროექტორი, ჭკვიანი დაფა). ჯამში მოსწავლეთა რაოდენობა განისაზღვრა 23-ით.

2018 წლის შემოდგომის სემესტრში - დეკემბერში, 23 მოსწავლეს ჩაუტარდა ტესტირება (იხ. დანართი N2) თემაზე “საქართველოს სასარგებლო წიაღისეული”. ტესტირების ჩატარებას მე-9 (1) კლასში, გარდა სახელმძღვანელოსი, წინ უძღვოდა აღნიშნულ თემატიკაზე მეცადინეობა ელექტრონული რესურსის გამოყენებით, კერძოდ ჭკვიანი დაფით და გეოგრაფიული თამაშით, რომელიც გულისხმობს ონ-ლაინ რეჟიმში საბადოების და გეოგრაფიული ობიექტების გამოცნობას რუკაზე ადგილმდებარეობის მიხედვით. აღსანიშნავია ის, რომ ელექტრონული რესურსები ექსპერიმენტულ ჯგუფში გამოყენებული იყო როგორც დამატებითი და არა ძირითადი სასწავლო რესურსი. ძირითადი რესურსი, ისევე როგორც საკონტროლო ჯგუფში, აქაც იყო სახელმძღვანელო, რუკა და კონტურული რუკა.

მე-9 (2) კლასში ტესტირებისთვის მოსამზადებელი პერიოდი იყო იმდენივე (3 სთ), რამდენიც პარალელურ კლასში, თუმცა ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე. აქტიურად მიმდინარეობდა მეცადინეობები გეოგრაფიის სახელმძღვანელოს, რუკის, კონტურული რუკის და დაფის გამოყენებით.

ტესტირებაში მიღებული შედეგების დათვლის და გაანალიზების შემდეგ დადგინდა, რომ მე-9 (1) კლასის მოსწავლეების საშუალო შეფასება, პარალელური კლასის საშუალო შეფასებასთან შედარებით 1,6 ქულით მაღალი იყო. კერძოდ, მე-9 (1) კლასის საშუალო ქულა იყო 7.7, ხოლო მე-9 (2) კლასის - 6.1 ქულა.

გთავაზობთ პედაგოგიური ექსპერიმენტის ფარგლებში ჩატარებული ტესტირების შედეგების ამსახველ ცხრილებს.

ცხრილი N 1

9 (1) და 9 (2) კლასები

IX (1) 18.12.2018			IX (2) 20.12.2018		
რიგითობა	მოსწავლე	ნიშანი	რიგითობა	მოსწავლე	ნიშანი
1.	ა. გ.	7	1.	ა. ნ.	6
2.	დ. ნ.	4	2.	ბ. მ.	-
3.	ი. ე.	8	3.	გ. ა.	5
4.	კ. მ.	6	4.	გ. ს.	7
5.	მ. ს.	7	5.	თ. გ.	3
6.	ს. ა.	8	6.	მ. მ.	8
7.	შ. ლ.	9	7.	მ. დ.	6
8.	ჩ. ლ.	8	8.	ნ. ა.	5
9.	ხ. რ.	8	9.	ს. ა.	4
10.	ხ. ა.	9	10.	ს. ნ.	8
11.	ჯ. ა.	9	11.	შ. რ.	7
12.	ჯ. კ.	9	12.	ჯ. გ.	8
კლასის საშუალო ქულა		7.7	კლასის საშუალო ქულა		6.1

როგორც შედეგების მიხედვით ირკვევა, მნიშვნელოვანი განსხვავებაა ორი კლასის მაჩვენებლებს შორის, რაც საშუალებას გვაძლევს ჩვენი ჰიპოთეზა გამართლებულად ჩავთვალოთ, რომ ელექტრონული რესურსების, როგორც ცვლადის შეტანამ მე-9 (1) კლასში, განაპირობა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესება.

მიგვაჩნია, რომ ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებით გეოგრაფიის სწავლება, არამარტო ზრდის აკადემიურ მოსწრებას, არამედ უზრუნველყოფს ნასწავლის ხანგრძლივი დროის განმავლობაში დამახსოვრებას. ამის დასადასტურებლად, ჩავატარეთ განმეორებითი ტესტირება 6 თვის შემდეგ, რომლის შესახებაც ბავშვები წინასწარ არ იყვნენ ინფორმირებულნი. განმეორებითი კვლევის ინსტრუმენტად გამოვიყენეთ ტესტი (იხ. დანართი N3), რომელშიც კითხვები შესული იყო სწორედ იმ თემიდან, რომლის სწავლა-სწავლებაც მოხდა ერთ შემთხვევაში ისტ-ის

გამოყენებით, მეორე შემთხვევაში კი მის გარეშე.

ტესტირების მიზანი იყო გვენახა, თუ რა შედეგებს მივიღებდით ექსპერიმენტულ და საკონტროლო ჯგუფებში ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ (6 თვის შემდეგ), წინასწარი მომზადების გარეშე.

ცხრილი N 2

9 (1) და 9 (2) კლასები

IX (1) 04.06.2019			IX (2) 06.06.2019		
რიგითობა	მოსწავლე	ნიშანი	რიგითობა	მოსწავლე	ნიშანი
13.	ა. გ.	5	13.	ა. ნ.	3
14.	დ. ნ.	-	14.	ბ. მ.	-
15.	ი. ე.	10	15.	გ. ა.	5
16.	კ. მ.	6	16.	გ. ს.	-
17.	მ. ს.	2	17.	თ. გ.	3
18.	ს. ა.	2	18.	მ. მ.	6
19.	შ. ლ.	7	19.	მ. დ.	9
20.	ჩ. ლ.	3	20.	ნ. ა.	-
21.	ხ. რ.	8	21.	ს. ა.	4
22.	ხ. ა.	-	22.	ს. ნ.	9
23.	ჯ. ა.	10	23.	შ. რ.	7
24.	ჯ. კ.	10	24.	ჯ. გ.	4
კლასის საშუალო ქულა		6.3	კლასის საშუალო ქულა		5.5

იმის დასადასტურებლად, რომ კლასების აკადემიურ მოსწრებებს შორის არ არის მნიშვნელოვანი განსხვავება და ეს ვერ მოახდენდა ტესტირების შედეგებზე გავლენას, გთავაზობთ ორივე კლასში, გეოგრაფიის საგანში მიმდინარე ნიშნებს.

მიმდინარე ნიშნები					
IX (1)			IX (2)		
რიგითობა	მოსწავლე	ნიშანი	რიგითობა	მოსწავლე	ნიშანი
1.	ა. გ.	7	1.	ა. ნ.	8
2.	დ. ნ.	5	2.	ბ. მ.	7
3.	ი. ე.	10	3.	გ. ა.	7
4.	კ. მ.	9	4.	გ. ს.	8
5.	მ. ს.	8	5.	თ. გ.	6
6.	ს. ა.	7	6.	მ. მ.	9
7.	შ. ლ.	8	7.	მ. დ.	8
8.	ჩ. ლ.	9	8.	ნ. ა.	7
9.	ხ. რ.	5	9.	ს. ა.	7
10.	ხ. ა.	7	10.	ს. ნ.	8
11.	ჯ. ა.	10	11.	შ. რ.	7
12.	ჯ. კ.	10	12.	ჯ. გ.	9
კლასის საშუალო ქულა		7.8	კლასის საშუალო ქულა		7.5

კვლევის მესამე ეტაპად შეგვიძლია მივიჩნიოთ, პედაგოგიური ექსპერიმენტის პარალელურად განხორციელებული ჩართული დაკვირვება, რომლის ფარგლებშიც - 2 კვირის განმავლობაში ხდებოდა მოსწავლეებზე დაკვირვება საგაკვეთილო პროცესში და საინტერესო მიგნებების ჩანიშვნა დაკვირვების ფურცელზე. დაკვირვების ფორმა იყო გაუმჟღავნებელი, რისი საშუალებითაც თავიდან ავირიდეთ ხელოვნური ქცევა მოსწავლეთა მხრიდან.

სასწავლო პროცესზე უშუალო დაკვირვების შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოსწავლეების ჩართულობა, ინტერესი და მოტივაცია ელექტრონული რესურსების გამოყენებით სწავლებისას ბევრად მაღალი იყო, ვიდრე მხოლოდ სახელმძღვანელოთი. ისინი უფრო ჩართულები იყვნენ სასწავლო პროცესში და არ სჭირდებოდათ დამატებითი ძალისხმევა ყურადღების მოსაპყრობად.

მოსწავლეთა უმრავლესობა გვთხოვდა, რომ ის ელექტრონული წყაროები, რომლებსაც ვიყენებდით საგაკვეთილო პროცესში, კონკრეტულად მიგვეწერა

ელექტრონულ ჟურნალში, რათა დამოუკიდებლად გაცნობოდნენ მასალებს სახლში.

დაკვირვების პროცესში, ექსპერიმენტულ კლასში, გამოიკვეთა საინტერესო ტენდენცია. კერძოდ, საქართველოს ოროგრაფიული ერთეულების (ქედები, დაბლობები) სწავლა-სწავლების პროცესში, ბავშვებს დაევალიათ დაფაზე არეულად ჩამოწერილი 5-5 ქედის აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ და პირიქით დალაგება. ამ დავალების შესასრულებლად მოსწავლეებს შეეძლოთ რუკის გამოყენება. ბავშვებმა, რომლებიც აქტიურად იყენებდნენ საგანმანათლებლო ელექტრონულ რესურსებს აღნიშნული თემატიკის სწავლის პროცესში, რუკის გამოყენების გარეშე, სწორად დააღაგეს ქედები მითითებული მიმართულებით.

გამოვლენილი ფაქტის შესახებ, ჩვენი ვარაუდის გადასამოწმებლად, რამდენიმე მოსწავლესთან გავმართეთ არაფორმალური ინტერვიუ, სადაც მათ ვკითხეთ, თუ როგორ შეძლეს ოროგრაფიული ობიექტების დალაგება სწორად, რუკის გამოყენების გარეშე. ერთ-ერთი მოსწავლის პასუხი შემდეგნაირი იყო:

“დავხუჭე თვალები, წარმოვიდგინე გამოსახულება, რომელიც კომპიუტერის ეკრანიდან დამამახსოვრდა და გიკარნახეთ მიმდევრობა”.

დადასტურდა, რომ ვიზუალური სასწავლო მეთოდის დროს, მოსწავლეთა წარმოდგენებისა და შემეცნების ფორმირება, პირდაპირი აღქმის ან მისი გამოსახულების მეშვეობით ხდება.

შედეგად, სახეზეა მათი ტესტირების შედეგებიც, მოსწავლეები რომლებიც ერთდროულად მეცადინეობდნენ სკოლის სახელმძღვანელოთი და ელექტრონული რესურსებით, ბევრად მაღალი შედეგი მიიღეს, ვიდრე დანარჩენმა მოსწავლეებმა, რომლებიც, მხოლოდ სახელმძღვანელოს გამოყენებით ემზადებოდნენ.

კვლევის მეოთხე ეტაპზე, ელექტრონული სასწავლო რესურსების გამოყენების ეფექტიანობის და უპირატესობის დადასტურების შემდეგ, დავიწყეთ გეოგრაფიის მასწავლებელთა გამოკითხვა იმ მიზნით, რომ შეგვემოწმებინა ჰიპოთეზა, თუ რამდენად იცნობდნენ და იყენებდნენ ისინი გეოგრაფიულ ელექტრონულ ინსტრუმენტებს.

კვლევის მოსამზადებელ ეტაპზე, მიზნიდან გამომდინარე, შედგა კვლევის ინსტრუმენტი - კითხვარი. საკვლევო ინსტრუმენტის აპრობირების მიზნით განხორციელდა პილოტური კვლევა, რომლის დროსაც ჩატარდა 7 პირისპირი

ინტერვიუ. პილოტური კვლევის ეტაპზე გამოვლენილი ხარვეზები გასწორდა კითხვარში. პილოტური კვლევის შერჩევითი ერთობლიობის განსაზღვრის მეთოდად განისაზღვრა “თოვლის გუნდის” პრინციპი, რადგანაც არ არსებობდა კონკრეტული სია გეოგრაფიის მასწავლებლებისა და მათი კონტაქტებისა. პროცედურა იყო შემდეგნაირი: დავუკავშირდით ჩვენთვის საინტერესო გენერალური ერთობლიობის წევრს და მას შემდეგ, რაც დასრულდა ინტერვიუ, ვკითხეთ, ხომ არ იცნობდა ჩვენთვის საინტერესო მახასიათებლების მქონე პიროვნებას, ამ შემთხვევაში გეოგრაფიის მასწავლებელს.


პილოტურმა კვლევამ აჩვენა, რომ საჭირო იყო მასწავლებლების ელექტრონული კითხვარის საშუალებით გამოკითხვა, რადგან პირისპირი ინტერვიუს ჩატარებას თან ახლდა რიგი სირთულეები, მაგალითად რესპონდენტების თავისუფალი დროის არ ქონა, კონტაქტების არ არსებობა, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრობლემა და სხვა.

კითხვარის სათაურია “ისტ-ის გამოყენება გეოგრაფიის გაკვეთილზე”, ტერმინოლოგიის შინაარსის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის თავიდან ასაცილებლად დასაწყისში განმარტებულია ისტ-ის მნიშვნელობა, როგორც ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა, როგორებიცაა კომპიუტერი, პროექტორი, პრინტერი, სკანერი, მობილური ტელეფონი, ინტერაქტიული დაფა, ინტერნეტი და სხვა. ელექტრონული კითხვარის საშუალებით გამოიკითხა 70 მასწავლებელი, რომელთა ასაკი განისაზღვრა 20 წლიდან ზემოთ.

დიაგრამა N 1

ასაკი:

70 responses




როგორც N1 დიაგრამაზე ვხედავთ, ასაკობრივი მაჩვენებლის მიხედვით, გამოკითხული გეოგრაფიის მასწავლებლებიდან უმრავლესობა - 30 მასწავლებელი არის 51 წლიდან მაღლა ასაკის. უმცირესობაში არიან 20-დან 40 წლამდე ასაკის მასწავლებლები, სამივე ასაკობრივ კატეგორიაში ჯამში არის 17 პედაგოგი. ამ შედეგებიდან ორი დასკვნის გაკეთება შეიძლება:

1. ასაკით უფროსი მასწავლებლების გამოხმაურება და კვლევაში ჩართულობა იყო მაღალი, რაც მათ აქტიურ კარიერულ ცხოვრებაზე მიუთითებს. მათ დამოუკიდებლად გამოთქვეს კვლევაში მონაწილეობის მიღების სურვილი და დამოუკიდებლად შეავსეს ელექტრონული კითხვარი.
2. სამწუხარო მიგნებად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ გეოგრაფიის მასწავლებლის პროფესია დღევანდელ რეალობაში არ არის მოთხოვნადი, რის შედეგადაც ვიღებთ აღნიშნული მიმართულებით 50 წელს გადაცილებული პედაგოგოების სიმრავლეს.

დიაგრამა N 2

სქესი:

70 responses




N2 დიაგრამის მიხედვით, გამოკითხულთა შორის დომინირებენ მდედრობითი სქესის წარმომადგენელი მასწავლებლები. კერძოდ, 65 მასწავლებელი არის მდედრობითი სქესის, ხოლო 5 - მამრობითი.

საინტერესოა, რა პროპორციით გადანაწილდა საჯარო და კერძო სკოლის მასწავლებელთა რაოდენობები. პასუხებიდან გამომდინარე, კვლევაში მონაწილე მასწავლებლებიდან 55 არის საჯარო სკოლის პედაგოგი, ხოლო 15 - კერძო სკოლის.

სურათი N 1

რესპონდენტთა გავრცელება



კვლევის რეპრეზენტატულობაზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმდენად, რამდენადაც მონაწილეებიდან უმრავლესობა, კერძოდ 70-დან 41 მასწავლებელი არის საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სკოლის წარმომადგენელი. ჩვენ შევქმენით რესპონდენტთა გადანაწილების რუკა საქართველოს მასშტაბით, სადაც ნათლად ჩანს გეოგრაფიის მასწავლებელთა ჩართულობა და ინტერესი კვლევის მიმართ. N1 სურათის მიხედვით, რესპონდენტები გადანაწილებულნი არიან შემდეგ რეგიონებში: თბილისი, აჭარა (ბათუმი, მახინჯაური, შუახევი), გურია (ლანჩხუთი), იმერეთი (სამტრედია, ქუთაისი, ჭიათურა, წყალტუბო და სხვა), სამეგრელო-ზემო სვანეთი (ზუგდიდი, ხობი, სენაკი), შიდა ქართლი (ხაშური, ქარელი, ძევერი, გორი, კასპი), ქვემო ქართლი (რუსთავი, გარდაბანი, ბედიანი, ბოლნისი, წალკა), მცხეთა-მთიანეთი (მცხეთა, მუხრანი) და კახეთი (საგარეჯო, თელავი, ახმეტა). კვლევაში მონაწილეობა არ მიუღია მხოლოდ სამცხე-ჯავახეთსა და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთში მოღვაწე გეოგრაფიის მასწავლებლებს.


დემოგრაფიული კითხვები წარმოდგენილი იყო კვლევის პირველ ბლოკში, რაც შეეხება მეორე ბლოკს, აქ დასმულია ისეთი კითხვები, რომლებიც ეხება უშუალოდ გეოგრაფიის მასწავლებელთა მხრიდან ისტ-ის გამოყენების პრაქტიკას ყოველდღიურ ცხოვრებასა და საგაკვეთილო პროცესში.

კითხვაზე, იყენებენ თუ არა რესპონდენტები ისტ-ს ყოველდღიურ ცხოვრებაში, როგორც N4 დიაგრამიდან ირკვევა, სრული უმრავლესობისგან მივიღეთ დადებითი

პასუხი. აღნიშნულ კითხვაზე ამგვარი პასუხების მიღება მოსალოდნელი იყო, რადგან კითხვარი არის ელექტრონული და ინტერნეტის გამოყენების გარეშე მისი შევსება ფიზიკურად ვერ მოხერხდებოდა. აღნიშნული კითხვა დაისვა იმ მიზნით, რომ გაგვემიჯნა ერთმანეთისგან ისტ-ის გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებასა და საგაკვეთილო პროცესში.

დიაგრამა N 4


70 responses



კითხვაზე, იყენებენ თუ არა მასწავლებლები ისტ-ს საგაკვეთილო პროცესში, დადებითი პასუხი გასცა 62-მა რესპონდენტმა, დანარჩენმა რვამ კი უარყოფითი. (დიაგრამა N5)

დიაგრამა N 5


70 responses



დადებითი პასუხის მქონე რესპონდენტებს დაესვათ კითხვა ისტ-ის გამოყენების სიხშირესთან დაკავშირებით. N5 დიაგრამის მიხედვით ირკვევა, რომ პასუხები


შემდეგნაირად გადანაწილდა: უმრავლესობა, ანუ 24 პედაგოგი ისტ-ს იყენებს თვეში რამდენჯერმე, 19 - კვირაში რამდენჯერმე, 7 - წელიწადში რამდენჯერმე, 5 - კვირაში ერთხელ, იგივე რაოდენობა აცხადებს, რომ ისტ-ს იყენებს ყოველდღე და ბოლოს, ორი რესპონდენტის თქმით, მისი გამოყენება ხდება თვეში ერთხელ.

დიაგრამა N 6



ისტ-ის გამოყენების მიზნობრიობის დასადგენად განკუთვნილ კითხვაზე, რესპონდენტებს საშუალება ჰქონდათ მოენიშნათ ერთზე მეტი პასუხი, რომლებიც N7 დიაგრამის მიხედვით გადანაწილდა შემდეგნაირად: უმრავლესობა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს იყენებს გაკვეთილზე პრეზენტაციის ჩვენებისთვის, პასუხების რაოდენობით ასევე ლიდერობს ფოტო და ვიდეო მასალის ჩვენება. ხოლო ისტ-ს, როგორც გეოგრაფიული თამაშების, ელექტრონული ტესტების, კონტურული რუკების და ახალი ამბების რესურსად, მიიჩნევენ მასწავლებელთა უმცირესობა.

დიაგრამა N 7




როგორც დიაგრამიდან ჩანს, თანამედროვე ტექნოლოგიებს, მასწავლებლების დიდი ნაწილი იყენებს გაკვეთილზე პრეზენტაციის და ფოტო მასალის ჩვენების მიზნით. ისტ-ის ახალი ამბების ჩვენება-განხილვის მიზნით გამოყენება კი, არც თუ ისე აქტუალურია.

9 რესპონდენტმა საკუთარი სურვილით მიუთითა ისტ-ის გამოყენების სხვა მიზნობრიობაც, რომელთა შორისაც ლიდერობს ინფორმაციის მოძიება ზოგადად და თემატური რუკების შექმნა.


იმის ფონზე, რომ გეოგრაფიის მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი არ იყენებს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს საგაკვეთილო პროცესში, საინტერესოა მათი აზრი ისტ-ის შეფასებასთან დაკავშირებით, ამისთვის რესპონდენტებს ვთხოვეთ მოენიშნათ ის დებულება, რომელსაც ეთანხმებოდნენ. შედეგი კი იყო შემდეგნაირი: გამოკითხულთა სრულმა უმრავლესობამ, ისტ-ის ინტეგრირება გაკვეთილების პროცესში, შეაფასა როგორც დადებითი პროცესი. (დიაგრამა N8)

დიაგრამა N 8



რადგანაც თითქმის სრულმა უმრავლესობამ გასცა ისტ-ის ეფექტიანობის სასარგებლოდ პასუხი, შექმნილი წინააღმდეგობრივი ვითარების ასახსნელად, კერძოდ კი იმის, რომ მიუხედავად პოზიტიური შეფასებისა, არ ხდება ტექნოლოგიების ჩართვა გეოგრაფიის სწავლებისას, ვთხოვეთ დაესახელებინათ ის დაბრკოლებები, რომლებსაც აწყდებიან ტექნოლოგიების გამოყენების პროცესში.

დიაგრამა N 9




N9 დიაგრამის მიხედვით, დებულებას, რომ ისტ-ის გამოყენება სკოლაში მოითხოვს დიდ დროს, ეთანხმება 23 პედაგოგი, ხოლო უარყოფს 30. დებულებას, რომ სკოლაში თანამედროვე ტექნოლოგიების სიმცირეა, ადასტურებს 49, ხოლო უარყოფს 16 რესპონდენტი. და ბოლოს, დებულებას, რომ ინტერნეტში არასაკმარისი საგანმანათლებლო რესურსია, ადასტურებს 24 მასწავლებელი და უარყოფს 30.

მიღებული შედეგებიდან გამოიკვეთა მნიშვნელოვანი პრობლემა, როგორცაა სკოლებში ისტ-ის სიმცირე. აღსანიშნავია, რომ პედაგოგთა უმრავლესობა, რომელმაც ამ პუნქტში უარყოფითი პასუხი მიუთითა, არის კერძო სკოლის წარმომადგენელი.

მათ მიერ მითითებული დამატებითი დაბრკოლებებიდან აღსანიშნავია: ინტერნეტის ცუდი სიხშირე, ელექტროენერჯის მიწოდების შეწყვეტა და ენობრივი ბარიერი.

როგორც დასაწყისში - კვლევის მიზანში ითქვა, წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი იდეა, გეოგრაფიის მასწავლებლებისთვის ეფექტიანი ელექტრონული რესურსების შეთავაზებაში მდგომარეობს. ჩვენი ამოცანაა დავადგინოთ, იცნობენ თუ არა პედაგოგები კონკრეტულ ელექტრონულ საგანმანათლებლო რესურსებს, რათა შემდეგში შევძლოთ წარვუდგინოთ მათ ეს რესურსები.

დიაგრამა N 10




როგორც N10 დიაგრამიდან ჩანს, ვებ-გვერდს earth.google.com იყენებს გამოკითხულთა უმრავლესობა, კერძოდ - 55 მასწავლებელი. 33 რესპონდენტის მიერ გამოყენებულია ვებ-გვერდი d-maps.com, ხოლო purposegames.com და ilike2.learn.com ვებ-გვერდებს იყენებს გამოკითხულთა უმცირესობა.

გარდა შეთავაზებული ვარიანტებისა, რესპონდენტებმა დამატებით მიუთითეს მათ მიერ აქტიურად გამოყენებადი რესურსები, რომელთაგან აღსანიშნავია: სამინისტროთა ვებ-გვერდები, YouTube, mapmaker.nationalgeographic.org და LearningApps.org.

წინამდებარე სტატისტიკა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მასწავლებლებისთვის რეკომენდაციის სახით მოხდება მხოლოდ ისეთი რესურსების შეთავაზება, რომლებსაც უმრავლესობა აქამდე არ იყენებდა.

საბოლოოდ, საინტერესოა, რამდენად მიაწერენ მასწავლებლები, გეოგრაფიაში სწავლა/სწავლების ეფექტიანობას, საგაკვეთილო პროცესში ისტ-ის ინტეგრირებას.

დიაგრამა N 11



დებულებას, რომ გეოგრაფიაში სწავლა/სწავლების ეფექტიანობა დამოკიდებულია ისტ-ის გამოყენებაზე, N11 დიაგრამაზე დაკვირვებით ირკვევა, რომ ეთანხმება გამოკითხულთა უმრავლესობა, ხოლო უმცირესობა - 6 პედაგოგი, უარყოფს მას. აღნიშნული უმცირესობის აზრით, ეფექტიანობის მიღწევა შესაძლებელია სხვა გზებითაც, ისტ-ის გამოყენების გარეშე.

კვლევის დასკვნები და მიგნებები

სათანადო თეორიული მასალის გაცნობამ გვიჩვენა, რომ 21-ე საუკუნეში, დიდი ცვლილებები განიცადა თანამედროვე საგანმანათლებლო მიზნებმა და მიდგომებმა მსოფლიოს მასშტაბით. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრირება სხვადასხვა დარგებში კი გამოწვევაა ჩვენს ქვეყანაში. სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში განხორციელებულმა კვლევებმა დაადასტურეს ჩვენი ჰიპოთეზები იმის შესახებ, რომ ციფრული ხელსაწყოების გამოყენება გეოგრაფიის სწავლებისას, ზრდის ჩართულობას და აუმჯობესებს აკადემიურ მოსწრებას და რომ საქართველოს სკოლებში მათი გამოყენება ხდება არასათანადო სიხშირით.

კვლევის მნიშვნელოვანი მიგნებები იყო:

- ✚ დაკვირვებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დღეს არსებულ გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკაში ნაკლებად არის ჩართული ინფორმაციული ტექნოლოგიები. დაკვირვებამ, პედაგოგების გამოკითხვამ და საკითხის შესწავლამ გამოავლინა შემდეგი: სკოლებში, მასწავლებელთა მიერ არასაკმარისად ხდება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება
- ✚ მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება დიდ გავლენას ახდენს მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში ჩართულობაზე და ინტერესზე. საბოლოო ჯამში აისახება მოსწავლეების აკადემიურ შედეგებზე და სწავლა- სწავლების ხარისხზე.
- ✚ საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება ეხმარება მოსწავლეს გამოავლინოს და განავითაროს ისეთი უნარები, როგორებიცაა:
 - მიზნის გაცნობიერება;
 - ადრე მიღებული ცოდნის აქტიური რეპროდუქცირება;
 - მზა წყაროებზე დაყრდნობით ცოდნის შევსება;
 - კვლევა-ძიების დამოუკიდებლად წარმართვა;
- ✚ თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა სწავლებაში მასწავლებელს საშუალებას აძლევს თვისებრივად შეცვალოს სწავლების შინაარსი, მეთოდები და ორგანიზაციული ფორმები, განახორციელოს სწავლებისადმი შემოქმედებითი მიდგომები, მოახდინოს სასწავლო პროცესის

ინდივიდუალიზაცია, რათა მიღწეულ იქნას სწავლების ხარისხის გაუმჯობესება.

- ✚ ციფრული ხელსაწყოების გამოყენების შემდეგ, მოსწავლეებში გაუმჯობესდა აკადემიური მოსწრება;
- ✚ ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიები არ არის ერთნაირად ხელმისაწვდომი კერძო და საჯარო სკოლებში. განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობაა საჯარო სკოლებში;
- ✚ მოსწავლეებს გაუჩნდათ სურვილი, სახლში დამოუკიდებლად ევარჯიშათ ელექტრონული სასწავლო რესურსებით;
- ✚ თავიანთი სურვილით შექმნეს ჯგუფი სოციალურ ქსელებში, სადაც ერთმანეთს უზიარებენ გეოგრაფიასთან დაკავშირებულ საინტერესო ფაქტებს და სიახლეებს;
- ✚ მოსწავლეთა მცირე ჯგუფში გამოიკვეთა პრობლემატ. კერძოდ, მათ ჩათვალეს, რომ რადგან სკოლაში ხდებოდა ელექტრონული რესურსებით მეცადინეობა, სახლში აღარ იყო საჭირო განმტკიცება.
- ✚ მასწავლებელი, რომელიც იყენებს ინფორმაციულ ტექნოლოგიებს თავის პედაგოგიურ მოღვაწეობაში, უფრო მეტად მობილურია და მიისწრაფვის სიახლეებისაკენ
- ✚ როგორც პედაგოგიურ ლიტერატურაში აღნიშნავენ, ინფორმაციული ტექნოლოგიების, კერძოდ კი კომპიუტერის გამოყენების რამდენიმე მიმართულება არსებობს. ამ მიმართულებათა შორის სასკოლო პრაქტიკა მოიცავს შემდეგ 4 მიმართულებას:
 - კომპიუტერი, როგორც ცოდნის მაკონტროლებელი საშუალება;
 - პრაქტიკული სავარჯიშოების კომპიუტერული მოდელირება;
 - ინფორმაციული ტექნოლოგია, როგორც ახალი მასალის ახსნის საილუსტრაციო საშუალება;
 - კომპიუტერი, როგორც თვითმასწავლი საშუალება;

ჩემმა, როგორც გეოგრაფიის მასწავლებლის პრაქტიკამ, განსაკუთრებით აქტიურად მოიცვა ისტ-ის, როგორც ცოდნის შემოწმების, როგორც ახალი მასალის ახსნის და მისი თვითმასწავლი ფუნქციები.

- ✚ აღსანიშნავია, რომ ინფორმაციულ ტექნოლოგიათა გამოყენება ხელს უწყობს საგანთაშორისი კავშირების წარმოჩენას, რომელიც დღეს მეტად მნიშვნელოვანია ინტეგრირებული სწავლებისათვის, რაც გულისხმობს მოვლენებისა და პროცესების განხილვას ერთ სისტემურ მთლიანობაში.

კვლევის რეკომენდაციები

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა იმისთვის, რომ მოსწავლეებმა მეტად შეძლონ საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენება, ამ მხრივ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, რაზეც კვლევის შედეგებიც მიუთითებს.

კვლევის რეკომენდაციები დაფუძნებულია ნაშრომის ფარგლებში მიღებულ შედეგებზე და მიგნებებზე. ვიმედოვნებთ, რომ ის დაეხმარება მოქმედ მასწავლებლებს გაკვეთილის პროცესის გამრავალფეროვნებაში.

✚ სასწავლო პროცესი საჭიროებს მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსების გამოყენებას. მნიშვნელოვანია, მასწავლებლები დაეუფლონ ინტერნეტში ინფორმაციის მოძიებასა და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას. ამის წყალობით ისინი შეძლებენ, აქტიურად გამოიყენონ ხელმისაწვდომი დამხმარე რესურსები და ისტ ტექნოლოგიები გაკვეთილებზე.

✚ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მთავარი მაინც სწავლების მეთოდოლოგიაა, რადგან თუ სწავლების მეთოდოლოგია არაეფექტურია, მაშინ ვერავითარი ციფრული ტექნოლოგია ვერ მოგვცემს სასურველ შედეგს. მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ მყარი თეორიული ცოდნა, რომ მისი გადატანა შეძლონ ციფრულ ტექნოლოგიებში. ინფორმაციული ტექნოლოგიები უნდა იყოს დამხმარე საშუალება და არა თვითმიზანი. გაკვეთილზე ტექნოლოგიების გამოყენების დაგეგმვისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ძირითადი ფაქტორები:

1. მოსწავლეთა ისტ კომპეტენცია
2. მის ხელთ არსებული ტექნიკური ბაზა
3. მის მიერ დაგეგმილი გაკვეთილის მიზანი და პედაგოგიური სტრატეგიები
4. გაკვეთილის მიმდინარეობის ტიპი (მიმდინარე, შემაჯამებელი, პროექტული, სხვ.)
5. სასწავლო მასალის თემატიკა

- ✚ რადგანაც უცხო ენის ფლობა, წარმოადგენს ერთ-ერთ ბარიერს ელექტრონული სასწავლო რესურსების მოძიებისას, სასურველია მასწავლებლებმა ლექსიკონის დახმარებით მოძებნონ სასურველი ფოტო თუ აუდიო მასალა.
- ✚ სასურველია განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტრომ „არაენობრივი“ საგნების მასწავლებლებს შესთავაზოს ინგლისური ენის კურსები.
- ✚ განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტრომ, სასურველია იზრუნოს, ისტ-ის საგაკვეთილო პროცესში ინტეგრირებასთან დაკავშირებულ ტრენინგების მეტი სიხშირით ჩატარებაზე, განსაკუთრებით კი სასოფლო ტიპის დასახლებებში, სადაც იგივე პრობლემა მეტად თვალშისაცემია.
- ✚ სასურველია, უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნას კურსი გეოგრაფიის მომავალი მასწავლებლებისათვის, სადაც დაეუფლებიან გეოგრაფიის სწავლებისთვის საჭირო ელექტრონული ხელსაწყოების ფლობას, როგორცაა გეოგრაფიული თამაშების შექმნა, კონტურული რუკების შექმნა, ახალი ამბების სასწავლო რესურსად გარდაქმნა და სხვა;
- ✚ კარგი იქნება მოსწავლეებისთვის ისეთი საშინაო დავალების მიცემა, რომ მათ დასჭირდეთ კომპიუტერის გამოყენება, მაგ. ტესტების შევსება, ინტერნეტში მასალის მოძიება, ტექსტის დაბეჭდვა, ცხრილების და პრეზენტაციების შედგენა, კლიპის დამზადება, ელექტრონულ რუკაზე ადგილების მონიშვნა და ა.შ. ამგვარი დავალებები ზრდის მოტივაციას, მოსწავლეები ხალისით იყენებენ კომპიუტერს, რომელიც მათთვის არამარტო გასართობი, არამედ თანამედროვეობის და წარმატებულობის სიმბოლოცაა.
- ✚ მნიშვნელოვანია მასწავლებლებმა მეტი ყურადღება დაუთმონ საკუთარ პროფესიულ განვითარებას. სასურველია, რომ ისინი მუდმივად ზრუნავდნენ კვალიფიკაციის ამაღლებაზე და საკუთარი ინიციატივით ცდილობდნენ ცოდნის გამდიდრებასა და კომპეტენციების გაუმჯობესებას, ღია იყვნენ სიახლეებისადმი და მაქსიმალურად ეცადონ ფეხი აუწყონ თანამედროვე გამოწვევებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბუდანოვი ვ.პ., “ფიზიკური გეოგრაფიის სწავლების მეთოდისა”, თბილისი, სახ. გამოცემა, 1949.
2. გარსევანიშვილი ე., “გეოგრაფიის სწავლების მეთოდისა”, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1985. გვ 104-120
3. ეროვნული სასწავლო გეგმა - გამჭოლი კომპეტენციები, 2018.
4. ზივზივადე-ნიკოლეიშვილი მ., სასწავლო პროცესში საინფორმაციო ტექნოლოგიების მნიშვნელობისა და გამოყენების ზოგიერთი ასპექტი.
5. თენიშვილი თ., “საქართველოს სსრ გეოგრაფიის სწავლების მეთოდისა”, თბილისი, 1956.
6. მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი “საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N 57/ნ.
7. პოლოვინკინი ა., “ფიზიკური გეოგრაფიის სწავლების მეთოდისა”, თბილისი, საქ. მთავარი პოლიგრაფიული გამომც., 1955.
8. საყვარელიძე რ., “ინტერაქტიური სწავლება და მისი ფსიქოლოგიური საფუძვლები”, თბილისი, სიესტა, 2004 – 24 გვ.
9. „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“, 2015.
10. ჩაჩანიძე გ. სართანია ვ., “ინტერნეტ-განათლების ტექნოლოგიები და მისი განვითარების პერსპექტივები”, მონოგრაფია, თბილისი, 2004 წ.
11. Chigona A., Chigona W., Conference Paper “An Investigation of Factors affecting the Use of ICT for Teaching in the Western Cape Schools”, South Africa, 2010: 12.
12. Donert K., Gonzalez R., “Innovative Learning Geography: new challenges for the 21st Century”, 2014.
13. “ICT in Geography” www.teachingtimes.com
14. Joshua L. Kenna & Stewart Waters “Teaching Geography through an Animated Lens”, 2017.
15. Zenelaj E., THE USE OF ICT IN GEOGRAPHICAL TEACHING AND LEARNING AT SECONDARY AND HIGH SCHOOL IN ALBANIA, University Ismail Qemali Vlore, Albania, 2013: 10

16. ბლიაძე მ. “ინტერნეტრესურსების გამოყენება გეოგრაფიის გაკვეთილზე”
<http://mastsavlebeli.ge/?p=1391>
17. ბაჩილავა ნ. პორტფოლიო, http://ninobachilava1.blogspot.com/p/blog-page_28.html
18. გონაშვილი რ. “რატომ არის საჭირო სწავლებაში ტექნოლოგიების ინტეგრირება”
<http://mastsavlebeli.ge/?p=3987>
19. ნეფარიძე თ., “XXI საუკუნის მასწავლებლის გამოწვევები”, 2014.
<http://mastsavlebeli.ge/?p=2011>
20. სეხნიაშვილი მ. “გეოგრაფიის სწავლების შესახებ” <http://mastsavlebeli.ge/?p=1307>
21. “სწავლების მეთოდთა და ელექტრონული ხელსაწყოები”
<https://sites.google.com/site/elektronuli/mostsavleta-shepaseba>
22. ფირჩხაძე მ. “პედაგოგიური ექსპერიმენტი და სასწავლო პროცესი”
<http://mastsavlebeli.ge/?p=2365>

დანართი N 1

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Psychology and Educational Sciences

MA Program: Teacher Education

Ani Kvernadze

**Using Digital Educational Resources
While Teaching Geography
(Secondary School)**

The Thesis is submitted to earn the Academic degree of Master (MA)
in Teacher Education

Thesis Supervisor: Lia Kverenchkhiladze,
Doctor of Geographical Sciences
A Visiting Professor TSU

Tbilisi
2019

დანართი N 2

ისტ-ის გამოყენება გეოგრაფიის სწავლებისას

ისტ - ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, როგორებიცაა კომპიუტერი, პროექტორი, პრინტერი, ინტერაქტიული დაფა, მობილური ტელეფონი, ინტერნეტი და სხვა.

* Required

1. ვიყენებ ისტ-ს ყოველდღიურ ცხოვრებაში (სახლში, თავისუფალ დროს...)*

Mark only one oval.

კი

არა

2. ვიყენებ ისტ-ს საგაკვეთილო პროცესში *

Mark only one oval.

კი

არა After the last question in this section, stop filling out this form.

3. რა სიხშირით იყენებთ ისტ-ს გეოგრაფიის სწავლებისას *

Mark only one oval.

ყოველდღე

კვირაში რამდენჯერმე

კვირაში ერთხელ

თვეში რამდენჯერმე

თვეში ერთხელ

წელიწადში რამდენჯერმე

წელიწადში ერთხელ

Other: _____

4. ძირითადად რა მიზნით იყენებთ ისტ-ს გეოგრაფიის გაკვეთილზე (შეგიძლიათ მონიშნოთ ერთზე მეტი)

Check all that apply.

	კი
გაკვეთილის ახსნისას	<input type="checkbox"/>
პრეზენტაციის ჩვენებისთვის	<input type="checkbox"/>
მოსწავლის მიერ	<input type="checkbox"/>
პრეზენტაციის გაკეთებისას	<input type="checkbox"/>
ფილმის ჩვენებისთვის	<input type="checkbox"/>
ვიდეოს ჩვენებისთვის	<input type="checkbox"/>
ფოტო მასალის ჩვენებისთვის	<input type="checkbox"/>
კონტურული რუკების	<input type="checkbox"/>
მოდებისთვის	<input type="checkbox"/>
ელექტრონული	<input type="checkbox"/>
ტესტებისთვის	<input type="checkbox"/>
ანალი აზმების - "News"	<input type="checkbox"/>
ჩვენებისთვის	<input type="checkbox"/>
გეოგრაფიული	<input type="checkbox"/>
თამაშებისთვის	<input type="checkbox"/>

5. სხვა მიზეზით:

6. ისტ-ის გამოყენება სასწავლო პროცესში:

Check all that apply.

	კი	არა
ამაღლებს მოსწავლის მოტივაციას	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
წრდის მოსწავლის ჩართულობას გაკვეთილზე	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
აადვილებს ინფორმაციის გაგებას მასალის ახსნისას	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
აადვილებს ინფორმაციის დამახსოვრებას	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

7. სწავლა/სწავლების ეფექტიანობა დამოკიდებულია ისტ-ის გამოყენებაზე *

Mark only one oval.

- კი
- არა

8. კომენტარი:

9. ისტ-ის გამოყენებასთან დაკავშირებული დაბრკოლებებია

Check all that apply.

	კი
ისტ-ის გამოყენება მოითხოვს დიდ დროს	<input type="checkbox"/>
სკოლაში არის ისტ-ის ხიშივირე ინტერნეტში არასაკმარისი საგანმანათლებლო რესურსებია გეოგრაფიის მიმართულებით	<input type="checkbox"/>
არ არის დაბრკოლებები	<input type="checkbox"/>

10. სხვა დაბრკოლება:

11. ჩამოთვლილი სასწავლო რესურსებიდან თუ გამოგიყენებიათ რომელიმე
Check all that apply.

	კი
Earth.google.com	<input type="checkbox"/>
Purposegames.com	<input type="checkbox"/>
d-maps.com	<input type="checkbox"/>
Ilike2learn.com	<input type="checkbox"/>

12. გთხოვთ, მიუთითეთ სხვა რესურსი/რესურსები, რომელსაც იყენებთ გეოგრაფიის
სწავლებისას, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

13. დამატებითი კომენტარი:

14. სქესი: *

Mark only one oval.

- მდედრობითი
 მამრობითი

15. ასაკი: *

Mark only one oval.

- 20-25
 26-30
 31-35
 36-40
 41-45
 46-50
 51- <

16. გთხოვთ, მიუთითოთ რომელ სკოლაში ასწავლით: *

მადლობა თანამშრომლობისთვის!

Powered by
 Google Forms

დანართი N 3

1. ფოტოზე ნაჩვენებია: (1ქ)



- ა. ნავთობის საბადო
- ბ. შავი ლითონის საბადო
- გ. მარმარილოს საბადო
- დ. მინერალური წყლები

2. ნავთობით ცნობილია: (1ქ)

- ა. მადნეულიდა შირაქი
- ბ. კვაისა და ვალე
- გ. ჭიათურა და მირზაანი
- დ. ტარიზანა და ნორიო


3. შავ მეტალურგიაში იყენებენ: (1ქ)

- ა. მანგანუმს
- ბ. ბარიტს
- გ. ბენტონიტურ თიხებს
- დ. ობსიდიანს

4. ფერად ლითონებს მიეკუთვნება: (1ქ)

- ა. რკინა
- ბ. დარიშხანი
- გ. მანგანუმი
- დ. მაგნეტიტური ქვიშები

5. ცხრილში ჩაწერეთ ქედები: (3ქ)



1.	2.	3.
----	----	----

6. დაუკავშირეთ ერთმანეთს გეომორფოლოგიური ერთეულები და მათი უმაღლესი მწვერვალები: (2ქ)

1. კავკასიონის მთიანეთი	ა. კენჭაულა
2. მთათაშორისი ბარი	ბ. ლიხის ქედი
3. მცირე კავკასიონი	გ. დიდი აბული
4. სამხრეთი მთიანეთი	დ. შხარა

7. რომელი ტიპის რელიეფისთვის არის დამახასიათებელი კირქვული სვეტი, მოქანავე ლოდი? (1ქ)

- ა. კარსტული რელიეფისთვის გ. პეტროგენული რელიეფისთვის
 ბ. გრავიტაციული რელიეფისთვის დ. ეროზიული რელიეფისთვის

8. რომელი ტიპის რელიეფისთვის არის დამახასიათებელი ტროგული ხეობები, ცირკები, კარები? (1ქ)

- ა. ტექტოგენური რელიეფისთვის გ. მყინვარული რელიეფისთვის
 ბ. ვულკანური რელიეფისთვის დ. კარსტული რელიეფისთვის

9. რომელი ტიპის რელიეფს მიეკუთვნება ათონისა და სათაფლიის მღვიმეები? (1ქ)

- ა. კარსტულს გ. პეტროგენულს
 ბ. ანთროპოგენურს დ. ვულკანურს

10. საქართველოში “ვერძის შუბლი” გვხვდება მხოლოდ: (1ქ)

- ა. კავკასიონზე გ. მცირე კავკასიონზე
 ბ. საქართველოს სამხრეთ მთიანეთში დ. მთათაშორის ბარში

11. რელიეფის რომელ ტიპს მიეკუთვნება სურათზე ნაჩვენები გამოსახულება? (1ქ)



- ა. კარსტულს
 ბ. ვულკანურს
 გ. გრავიტაციულს
 დ. ანთროპოგენურს

16. საქართველოში ქარის საშუალო სიჩქარე მერყეობს: (1ქ)

ა. 1-2 მ/წმ ბ. 3-4 მ/წმ გ. 4-5 მ/წმ დ. 7-8 მ/წმ

17. რა სიმაღლისაა მთა, თუ მის ძირში ჰაერის ტემპერატურა +26 გრადუსია, ხოლო წვერზე –10 გრადუსი: (1ქ)

ა. 6000 მ ბ. 4000 მ გ. 4500 მ დ. 5500 მ

18. აორთქლების ყველაზე მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება: (1ქ)

ა. ელდარის დაბლობი ბ. იმერეთის მაღლობი
გ. კოლხეთის დაბლობი დ. შიდა ქართლის ვაკე

19. საქართველოში სად მოდის ყველაზე მცირე ნალექი? (1ქ)

ა. ალაზნის ველზე ბ. თბილისის ქვაბულში
გ. ელდარის ველზე დ. შიდა ქართლში

20. საქართველოსთვის მთავარ კლიმატური ბარიერს წარმოადგენს: (1ქ)

ა. კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი
ბ. ლიხის ქედი
გ. არსიანის ქედი
დ. თრიალეთის ქედი


6. ფერად ლითონებს საქართველოში მოიპოვებენ: (1ქ)

ა. დაბა კაზრეთი ბ. ურეკი გ. ცანი დ. მირზაანი

7. შავ ლითონებს მიეკუთვნება: (1ქ)

ა. სპილენძი ბ. მანგანუმი გ. დარიშხანი დ. ტყვია-თუთია

8. რუკის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს: (3ქ)



8.1. ტყიბულის ქვანახშირის საბადო აღნიშნულია ციფრით:

ა. 1 ბ. 2 გ. 3 დ. 4

8.2. ჭიათურის მანგანუმის საბადო აღნიშნულია ციფრით:

ა. 5 ბ. 4 გ. 3 დ. 2

8.3. ძამის ხეობის ფოლადის საბადო აღნიშნულია ციფრით:

ა. 5 ბ. 4 გ. 2 დ. 1

დანართი N 5

შედეგი	<p>გეო.IX.1. მოსწავლეს შეუძლია რუკების და სხვა თვალსაჩინოებების (ფოტოები, გრაფიკები, ცხრილები, დიაგრამები და სხვა) დახმარებით დაახასიათოს ადგილი, მოვლენა და პროცესი; შეადგინოს თემატური რუკები.</p> <p>გეო.IX.3. მოსწავლეს შეუძლია დაახასიათოს და გააანალიზოს საქართველოს ბუნებრივი პირობები.</p>
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> . ფოტოების, ცხრილების, გრაფიკების და რუკების გამოყენებით ახდენს გეოგრაფიული ინფორმაციის ინტერპრეტაციას . ბუნებრივ რესურსებს განასხვავებს სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით და აჯგუფებს მათ ცხრილში (ამოუწურავი და ამოწურვადი (აღდგენადი, აღუდგენადი)) . ადარებს და აჯგუფებს საქართველოს ენერგეტიკულ რესურსებს (მაგ.: ტრადიციული და ალტერნატიული ენერგეტიკული რესურსები) გარემოზე მათი ზემოქმედების ხარისხის მიხედვით . შესაბამისი პირობითი ნიშნების გამოყენებით ბუნებრივი რესურსების მოპოვების ადგილებს აღნიშნავს კონტურულ რუკაზე . რუკებისა და ტექსტური მასალის გამოყენებით აღწერს საქართველოსათვის დამახასიათებელ მნიშვნელოვან რესურსებს (მინერალური და საწვავი რესურსები და სხვა) და აკავშირებს მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობასთან აღნიშნული მახასიათებლის მიხედვით აჯგუფებს საქართველოს რეგიონებს
გაკვეთილის მნიშვნელობა და აქტუალობა	<ul style="list-style-type: none"> > შეძლებენ სხვადასხვა სახის გეოგრაფიული ინფორმაციის დახარისხებას; > გაიაზრებენ საქართველოს მინერალური რესურსების პოტენციალს და პერსპექტივებს.
გაკვეთილის	.

თემა	11. მინერალური რესურსები
წინასწარი ცოდნა	> გეოლოგიის შესწავლის საგანი, გეოპოლიტიკა > ბუნებრივი რესურსების კლასიფიკაცია
გაკვეთილის მსვლელობა	<p>შესავალი - გაკვეთილის მიზნის გაცნობა (2 წთ)</p> <p>I აქტივობა - სმარტ დაფა (15 წთ)</p> <p>> სმარტ დაფის გამოყენებით ბავშვები დააჯგუფებენ ბუნებრივ რესურსებს ამოუწურავ და ამოწურვად სახეებად; ერთმანეთს შეადარებენ გარემოზე მათი ზემოქმედების ხარისხის მიხედვით (5 წთ)</p> <p>> მოსწავლეები სასარგებლო წიაღისეულს დაჯგუფებენ კატეგორიებად (5 წუთი) (უკუკავშირი 1 წთ)</p> <p>> მოსწავლეები შესაბამისი პირობითი ნიშნების გამოყენებით წიაღისეულის მოპოვების ადგილებს აღნიშნავენ კონტურულ რუკაზე (5 წთ) > სასარგებლო წიაღისეულის სახეცვლილება მოპოვებიდან - მოხმარებამდე</p> <p>(აქტივობის შემაჯამებელი კომენტარი 1 წთ) II აქტივობა - ჯგუფური მუშაობა (10 წთ)</p> <p>ჯგუფებს ვთხოვ, რომ მათ მიერ შექმნილი თემატური რუკიდან გამომდინარე წინასწარ დარიგებულ ფურცლებზე დაწერონ:</p> <p>სამი ბუნებრივი რესურსი, რომლებსაც მათი აზრით საქართველოსათვის განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს; დაასაბუთონ არჩევანი</p> <p>> პრეზენტაცია > უკუკავშირი (1 წუთი)</p> <p>III აქტივობა - SWOT ანალიზი (15 წუთი)</p> <p>მოსწავლეები უყურებენ ვიდეოს ტყიბულის საბადოზე. SWOT ანალიზის საშუალებით იმსჯელებენ წიაღისეულის მოპოვების ძლიერ და სუსტ მხარეებზე, შესაძლებლობებსა და საფრთხეებზე, რომლებსაც დაფაზე გამოსახავენ ცხრილის სახით.</p> <p>IV აქტივობა - აქტივობების შეჯამება, განმავითარებელი</p>

	➡➡
	- შეფასება (5 წუთი)
შეფასების საგანი და პროცედურები	ინდივიდუალური და ჯგუფური შეფასების სქემა
საჭირო რესურსები	ჭკვიანი დაფა; პროექტორი; კომპიუტერი; თაბახის ფურცლები, დაფა, მარკერი


დანართი N 6

ინტერნეტ რესურსების გზამკვლევი

1. www.d-maps.com

გეოგრაფიის სწავლა-სწავლების პროცესი რუკების გამოყენების გარეშე შეუძლებელია. კონტურულ რუკაზე მუშაობა, მოსწავლისთვის მნიშვნელოვანი გამოცდილებაა. თუმცა, მასწავლებლისთვის სასურველი შინაარსის კონტურული რუკის პოვნა ინტერნეტ სივრცეში ყოველთვის ხელმისაწვდომი არ არის.

გვსურს გაგიზიაროთ კარტოგრაფიული ვებ-გვერდი, რომელზეც უფასოდაა ხელმისაწვდომი 200 ათასზე მეტი კონტურული რუკა. ვებ-გვერდი გამოირჩევა მარტივი საძიებო სისტემით და კონტურული რუკების მრავალფეროვნებით, ასევე სასურველი რუკის გადმოწერა შესაძლებელია მაღალი ხარისხით. ამასთან, ვებ-გვერდის გამოყენებისთვის რეგისტრაცია საჭირო არ არის.



ვებ-გვერდზე შესვლისას გაიხსნება ფოტოზე ნაჩვენები ფანჯარა. სასურველი ენის მითითება შეგიძლიათ ეკრანის ზედა, მარჯვენა კუთხეში. ხოლო რუკების სანახავად დააჭირეთ შესაბამის უჯრას.

მას შემდეგ რაც მოძებნით საჭირო კონტურულ რუკას, აირჩიეთ გადმოწერის ფორმატი (PDF).




2. www.purposegames.com


არის ვებ-გვერდი, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, მასწავლებლებს და არამართო, *ითამაშონ* და ამავდროულად *შექმნან* თემატური თამაშები სასურველ დარგში. აღნიშნული ვებ-გვერდი იდეალურია გეოგრაფიის მიმართულებისთვის, თუმცა მას სხვა დარგის წარმომადგენლებიც, როგორებიცაა მათემატიკა, ბიოლოგია, ისტორია და სხვა, აქტიურად იყენებენ.

აღნიშნული ვებ-გვერდის უპირატესობას წარმოადგენს, სწავლების მრავალმხრივი მეთოდების გამოყენების შესაძლებლობა და საშუალება, რომ მასწავლებლებმა დამოუკიდებლად, საჭიროებიდან გამომდინარე შექმნან გეოგრაფიული თემატური თამაშები.


იმისთვის რომ შეძლოთ სასურველი თამაშის შექმნა, საჭიროა დარეგისტრირება. საიტზე რეგისტრაცია უფასო და ამავე დროს ძალიან მარტივია. საჭიროა მხოლოდ თქვენი სახელი, გვარი, ელ-ფოსტა და პაროლი.




მას შემდეგ, რაც შეავსებთ ყველა საჭირო ველს, გაიხსნება თქვენი პერსონალური გვერდი, საიდანაც შეძლებთ შექმნათ თამაშები. აღნიშნული თამაშების გამოყენება იდეალურია ფიზიკური და პოლიტიკური რუკის სწავლა-სწავლების პროცესში, როგორც სასკოლო სივრცეში, ისე დამოუკიდებლად სახლში მეცადინეობის პროცესში. გთავაზობთ ყველაზე ხშირად გამოყენებად “სურათი-ქვიზის” შექმნის ინსტრუქციას.



ფოტოზე წითლად მონიშნულ გრაფაზე დაჭერის შემდეგ, კომპიუტერში არსებული ფოტოებიდან აირჩიეთ თქვენთვის სასურველი ფოტო და ატვირთეთ აღნიშნულ ვებ-გვერდზე.




იმისთვის რომ ატვირთული ფოტო გამოიყენოთ თამაშის შესაქმნელად, ამავე ფოტოს ქვეშ დააჭირეთ “გამოყენების” უჯრას.



სასურველი გამოსახულების არჩევის შემდეგ, გადახვალთ უშუალოდ თამაშის შექმნის პროცესზე.


ვთქვით, გსურთ მოსწავლეები გამოცადოთ ევროპის პოლიტიკური რუკის ცოდნაში. ამისთვის, გახსენით ატვირთული ფოტო და მიუთითეთ თამაშის სათაური და კატეგორია.



მომდევნო ეტაპზე, თამაშის დანიშნულებიდან გამოიღინარე, აირჩევთ:

- ✓ თამაში იქნება საჯარო თუ დამალული
- ✓ რამდენ შანსს აძლევთ მოსწავლეებს თამაშის პროცესში. ძირითადად უთითებენ კატეგორიას - “თამაშის დასრულება მას შემდეგ, რაც თითოეულ კითხვაზე გაეცემა სწორი პასუხი”
- ✓ დროის მონაკვეთს, თუ რამდენ ხანში უნდა დაასრულოს მოსწავლემ მუშაობა


Step 2: Creating the game



ზოგადი ნაწილის დასრულების შემდეგ, უნდა მონიშნოთ ის ობიექტები, რომლებიც გასურთ, რომ გამოიცნონ მოსწავლეებმა.

მაგალითად, გასურთ მოსწავლემ რუკაზე აჩვენოს საფრანგეთი. ამისთვის უნდა დააჭიროთ შესაბამის ლოკაციას ფოტოზე და ცარიელ ველში, რომელიც ავტომატურად გამოჩნდება ეკრანზე, ჩაწეროთ “საფრანგეთი”.

Step 2: Creating the game



ყველა სასურველი ლოკაციის მონიშვნის შემდეგ, უთითებთ ჯერ შენახვას, შემდეგ კი გამოქვეყნებას. გამოქვეყნებული თამაშის მოძებნას მოსწავლეები შეძლებენ იგივე ვებ-გვერდის საძიებო ველში თამაშის ზუსტი სათაურის მითითებით.

სამაგისტრო ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე, შევქმენით 40-ზე მეტი გეოგრაფიული თამაში განკუთვნილი საბაზო საფეხურის მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის, რომლებიც შეგიძლიათ მოიძიოთ მითითებულ ელექტრონულ მისამართზე:

<https://www.purposegames.com/profile/516705/games>

www.purposegames.com - ზე თამაში, მოსწავლეებში ზრდის მოტივაციას, რადგან მას აქვს შეჯიბრის ფორმატი, რაც ნიშნავს, რომ მოსწავლე ხედავს თითოეული თამაშის რეიტინგს.

3. www.ilike2learn.com

არის ვებ-გვერდი, რომელიც გთავაზობთ გეოგრაფიულ თამაშებს თქვენი მოსწავლეებისთვის. ზემოთ აღწერილი ვებ-გვერდისგან (www.purposegames.com) განსხვავებით, აქ არ გაქვთ შესაძლებლობა დამოუკიდებლად შექმნათ თემატური გეოგრაფიული თამაშები, თუმცა გვერდი თვითონ გთავაზობთ უკვე შექმნილ მრავალფეროვან თამაშების არჩევანს.

ვებ-გვერდზე დარეგისტრირება არ არის საჭირო და ამასთან, მისი გამოყენება შესაძლებელია უფასოდ.



მას შემდეგ, რაც შეხვალთ მითითებულ ვებ-გვერდზე, მაუსით ისარი მიიტანეთ გრაფაზე, სახელწოდებით “გეოგრაფია” და აირჩიეთ სასურველი რეგიონი.

ვთქვათ, გსურთ მოსწავლეები გამოსცადოთ ჩრდილოეთ ამერიკის ჰიდროგრაფიული ქსელის ცოდნაში. აირჩიეთ:

1. Geography
2. North America
3. North America Lakes, Rivers, Bays and Seas



თამაშის ჩართვის შემდეგ, პროგრამა ავტომატურ რეჟიმში ეკითხება მოსწავლეს კონკრეტული გეოგრაფიული ობიექტის ადგილმდებარეობის შესახებ, რომელიც მოსწავლემ სწორად უნდა აჩვენოს ეკრანზე.




4. ახალი ამბები - როგორც დამხმარე სასწავლო მასალა

გეოგრაფია საგანია, რომელიც მოსწავლეებს დედამიწის შესახებ კომპლექსურ წარმოდგენას უყალიბებს. გეოგრაფიის შესწავლის დროს ყველა სფეროს ვეხებით: ბუნებას, საზოგადოებას, ადამიანის ეკონომიკურ საქმიანობას, ტრადიციებს, დასვენებას... გეოგრაფიის შესწავლის მთავარი მიზანი უნდა იყოს პიროვნების როგორც ცივილიზაციის, ზოგადსაკაცობრიო კულტურის მატარებელი სუბიექტის მრავალმხრივი განვითარება. მთავარია, მოსწავლეს განუვითაროთ დამოკიდებულება და ცოდნა, რათა ნებისმიერ ადგილას – ბუნებასა თუ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში – სწორი ორიენტაცია მოახდინოს, შეძლოს ეკოლოგიური პრობლემის არსის გაგება, გეოგრაფიის როლის განსაზღვრა პრობლემის გადაჭრის დროს, ადამიანის საქმიანობისა და ბუნების ურთიერთკავშირის განსაზღვრა და სხვადასხვა ცხოვრებისეული სიტუაციის განხილვა.

გეოგრაფიულ ინფორმაციაზე მუშაობისას მუდმივად საჭიროა მისი შევსება და განახლება, რათა შესასწავლი ობიექტების შესახებ თანამედროვე, ახალი და აქტუალური მონაცემები გვექონდეს. ამასთან, მოსწავლე მეტი ინტერესით განეწყობა და ეზრდება მოტივაცია მას შემდეგ, რაც ნათლად ხედავს შესასწავლი საკითხების კავშირს ყოველდღიურ ცხოვრებასთან. ყოველდღიურობასთან პარალელების გასავლებად და ათვისებული ცოდნის მასთან მისასადაგებლად, საუკეთესო საშუალებაა ახალი ამბების, ე.წ. News- ების გამოყენება.

გამოცდილებიდან გამომდინარე, მე-9 კლასში საქართველოს გეოგრაფიის კურსის ფარგლებში, ძალიან ეფექტიანი გამოდგა, ახალი ამბების, როგორც საკლასო აქტივობის გამოყენება.

ვთქვათ, მოსწავლეებს უხსნით სტიქიურ პროცესებს საქართველოში, ინტერნეტში შეგიძლიათ მოძებნოთ მაგალითად: მეწყერი საქართველოში, მიწისძვრა საქართველოში, ღვარცოფი საქართველოში. კონკრეტულად ვიდეოს ტიპის რესურსის მოსაძებნად შეგიძლიათ გამოიყენოთ ვებ-გვერდი YouTube.com



სწორად შერჩეული რესურსი ყოველთვის პასუხობს ძირითად გეოგრაფიულ შეკითხვებს: სად? რატომ? როგორ? და სხვა.

აღნიშნული რესურსების გამოყენება შესაძლებელია როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური მუშაობისას. ამასთან, ის ძალიან კარგი დამხმარე მასალაა ახალი გაკვეთილის ახსნის პარალელურად.